პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 30 (20071) პარასკევი, 5 თებერვალი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

დაკარგული პრესტიჟის აღსადგენად

შარშანდელი წელი ცუდად დაამთავრეს ქუთაისელმა ავტომშენებლებმა. საგეგმო დავალებაში გარღვევამ კოლოსალური ციფრი — 28 მილიონი მანეთი შეადგინა. გარკვეულ ობიექტურ მიზეზებთან ერთად ჩავარდნა განაპირობა შრომის მოშლილმა ორგანიზაციამ, მოშვებულმა საშემსრულებლო დისციპლინამ. ქარხანა მოუმზადებელი აღმოჩნდა პროდუქციის სახელმწიფო მიღებისა და სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობისათვის.

გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, განხორციელდა ღონისძიებანი და დღეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გაერთიანების მშრომელებში აშკარად იგრძნობა საწარმოს პრესტიჟის აღდგენის წადილი. მათ იანვრის თვეში უკვე 350 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს, გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 40,9 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქარხნის მეტალურგიულ-აგრეგატული და ამკრებ-მექანიკური წარმოებების კოლექტივებმა.

▼ ▼

გარდამავალი დროშა საწარმოს

სამაგალითოდ იღვწიან ხელვაჩაურის რაიონის ჩაის გადასამუშავებელი მრეწველობის მუშაკები. მათ შარშან გადაამუშავეს 2814 ტონა უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაი, დაგეგმილზე 214 ტონით მეტი, თვითღირებულება შეამცირეს 40 ათასი მანეთით. არ მიუღიათ მომხმარებლის პრეტენზიები. მოპოვებული წარმატებებისათვის და შარშანდელი სამეურნეო წლის შედეგებით ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანება გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

▼ ▼

ახალი მანქანები

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მთავარი პროდუქცია — ელექტროურიკები საკმაო პოპულარობით სარგებლობს. ისინი საექსპორტოდაც იგზავნება. პერიოდულად ხდება მანქანების არა მარტო მოდიფიკაცია, არამედ ახალიც იქმნება.

ქარხნის კოლექტივი შეუდგა ორი ახალი მოდიფიცირებული ელექტროურიკის ათვისებას. საექსპერიმენტო უბანზე უკვე მზადდება მძლავრი ერთ და ხუთტონიანი მანქანების დეტალები.

▼ ▼

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

4 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო „აბვ" ფირმის (ვენა) გენერალური დირექტორი ლეოპოლდ ბაუსბეკი მისი თხოვნით.

საუბრის დროს განიხილეს გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების საკითხები, სადაც არსებობს უნიკალური პირობები ზამთრის სახეობათა სპორტის განვითარებისათვის. ამა წლის აპრილის დამდეგისათვის არის ნავარაუდევი კურორტის ოფიციალური გახსნა, რომლის მშენებლობა ხორციელდება „აბვ" და ავსტრიის სხვა ფირმების დახმარებით. ვენა-თბილისის სპეციალური ავიარეისი აქ ჩამოიყვანს დამსვენებელთა პირველ ჯგუფს ევროპის ქვეყნებიდან. მათ მოემსახურება 300-ადგილიანი სასტუმრო, სამთო-სათხილამურო ტრასები, ბაგირგზები, აუზი, სპორტული დარბაზები.

ლ. ბაუსბეკმა აღნიშნა, რომ გუდაური მრავალი თვალსაზრისით სჯობს მსოფლიოს საუკეთესო მთის კურორტებს, და განაცხადა, რომ მრავალი ქვეყნის ასობით ტურისტმა და დამსვენებელმა წარადგინა განაცხადები გუდაურის საგზურების შესაძენად.

განიხილეს აგრეთვე კურორტ გუდაურის შემდგომი განვითარების, ტურიზმის, საკურორტო საქმის, ვაჭრობის დარგში ავსტრიის ფირმებთან თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივები და სხვ.

მაისის შუა რიცხვებში ავსტრიაში გაიმართება საქართველოს დღეები. მათ დაუკავშირდა ვენაში ჩვენი რესპუბლიკის მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა-გაყიდვის გახსნა. ამასთან დაკავშირებით აღნიშნეს, თუ რა დიდ ინტერესს იჩენს ავსტრიის საზოგადოებრიობა ქართველი ხალხის კულტურისა და ისტორიისადმი, როგორ ესწრაფვიან საქმიანი წრეები განავითარონ ეკონომიკური კავშირურთიერთობა საქართველოს სს რესპუბლიკასთან.

საუბარში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ასეთი ურთიერთობა შესაძლებელი ხდება საბჭოთა ეკონომიკაში რადიკალური რეფორმების პოლიტიკის მეოხებით, რომელმაც მოკავშირე რესპუბლიკებს მიანიჭა უფლება დამოუკიდებლად გავიდნენ საგარეო ბაზარზე.

რადიკალური რეფორმა: მანქანათმშენებლობა

სიახლეთა დანერგვა ტექნიკური პოლიტიკის საფუძველია

მანქანათმშენებლობას საკვანძო როლი განეკუთვნება სახალხო მეურნეობის ტექნიკურ განახლებაში, ყველა მისი დარგის ინტენსიფიკაციაში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელებაში. ეს აზრი გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებიდან, პარტიისა და მთავრობის მიერ ამ მიმართულებით მიღებული დადგენილებებიდან, სხვა დოკუმენტებიდან.

ამ საკითხის აქტუალურობა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვმა ერთხელ კიდევ აღნიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ, როცა აქ გამართული აზრთა გაზიარების შედეგები შეაჯამა.

ახლა, როცა დადგა გარდაქმნის ყველაზე რთული დრო, როცა იგი ეხება ეკონომიკის ყველაზე სიღრმისეულ პროცესებს, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ პარტია არ შეცდარა მანქანათმშენებლობის როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში, სწორად მოიქცა, როცა მისი უპირატესი განვითარებისათვის დააწესა განსაკუთრებული სახელმწიფო პრიორიტეტები. იგი ხომ, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის საწარმოო აპარატის სწრაფი განახლების, მეცნიერული იდეების მატერიალიზაციის, ეროვნული შემოსავლის ზრდის სტაბილური ტემპის მიღწევის, სოციალური პრობლემის გადაწყვეტის საფუძველია.

მანქანათმშენებელი კომპლექსის აყვანა მსოფლიო პრაქტიკის უმაღლეს საფეხურზე დღეს უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. მის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ყველა — უწინარესად მანქანათმშენებლობისა და მომიჯნავე დარგების შრომითი კოლექტივები. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა მანქანათსაშენებელი კომპლექსის მოდერნიზაციის პროგრამა. ამ პროგრამიდან, მისთვის მინიჭებული სახელმწიფო პრიორიტეტებიდან ყოველგვარი გადახვევა შეუწყნარებელია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან გამართულ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები, აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მანქანათმშენებლობის კომპლექსის მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად მთლიანად ამ კომპლექსის დარგებში არ გამოსწორებულა საქმის მდგომარეობა. პროდუქციის გამოშვება აქ დაგეგმილი 6 პროცენტის ნაცვლად 4,6 პროცენტით გაიზარდა. ყველაზე მეტად ჩამორჩნენ სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროები.

როგორ არის საქმე ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ მანქანათსაშენებელ საწარმოებში? სახელმწიფო დავალებების შესაბამისად შარშან საწარმოებში დაინერგა ერთი მოქნილი საწარმოო სისტემა, ორი საროტორო-საკონვეიერო ხაზი, ორი რობოტიზებული ტექნოლოგიური კომპლექსი, 55 სამრეწველო რობოტი და სხვა დიდმწარმოებლური მოწყობილობა.

ყველაფერი ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ მართალია ისიც, რომ რესპუბლიკის მანქანათსაშენებელმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს მხოლოდ სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის გამოშვების გეგმა და მომხმარებელს დააკლეს 10,8 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო პროდუქციის განახლების დონემ გათვალისწინებული 5,3 პროცენტის ნაცვლად 4,9 პროცენტი შეადგინა. „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, ნავარაუდევი 17,3 პროცენტის ნაცვლად განახლდა პროდუქციის მხოლოდ 10,3 პროცენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელმა ვერ მიიღო 9 მილიონი მანეთის პროდუქცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე პირდაპირ ითქვა, რომ აშკარად არ არის საკმარისი ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ამაში, ცხადია, მანქანათმშენებლებიც სცოდავენ.

ჩვენ ვიცით, რომ თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასული „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივი მრავალ ტექნიკურ, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობას წააწყდა. ვიცით ისიც, რომ მისი ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაცია გულმოდგინედ ეძიებენ სირთულეების დაძლევის გზებს, იბრძვიან მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, მაგრამ ამან არ უნდა შეანელოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე ზრუნვა. როცა ამას ვამბობთ, ვგულისხმობთ იმ ფაქტსაც, რომ აქ ყოვნდება საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ავტომატიზაცია.

პროდუქციის განახლების გეგმის შესრულებას თავი ვერ გაართვეს აგრეთვე „საქსურსათმანქანის" საწარმოო გაერთიანებამ და ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანამ. რაც შეეხება თბილისის „ჩარხმშენებლის" საწარმოო გაერთიანებას, აქ ვერ შესრულდა სამრეწველო რობოტების დანერგვის გეგმა: ხუთის ნაცვლად წარმოების სამსახურში ჩადგა მხოლოდ ერთი რობოტი.

როგორც ხედავთ, ზემოთხსენებული სამინისტროების წინსვლას ჩვენს რესპუბლიკაში განლაგებული მანქანათსაშენებელი კომპლექსის გაერთიანებები და საწარმოებიც აფერხებენ. ალბათ, საჭიროა კვლავ მოვაგონოთ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ეფუძნება, ხოლო ეს უკანასკნელი — მანქანათმშენებლობის უპირატეს წინსვლას. ეს გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობისა და მისი მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, ამ საკითხზე მიღებული დადგენილებებიდან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხთან დაკავშირებული თათბირების მასალებიდან, სხვა დოკუმენტებიდან.

მიჯნები, რომლებიც რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის კომპლექსის საწარმოთა კოლექტივებმა უნდა დაძლიონ მეთორმეტე ხუთწლედში, მეტად რთული და, რა თქმა უნდა, საპატიოა. საქმე მარტო პროდუქციის გამოშვების მკვეთრ ზრდასა და ახალი ტექნიკის ათვისების ვადების 3-4-ჯერ შემცირებას როდი ეხება. ეს, ცხადია, მთავარია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველა ახლად ათვისებულ სახეობათა ტექნიკა მწარმოებლობისა და საიმედოობის მხრივ სულ ცოტა 1,5-ჯერ უნდა აღემატებოდეს გამომავალ ანალოგიურ პროდუქციას. ასე აყენებს პარტია საკითხს და იგი უნდა გადაწყდეს ხუთწლედის დამთავრებამდე დარჩენილ 2-3 წელიწადში. ეს უახლოესი ამოცანაა, შემდგომ ათწლეულში კი ამოცანა უფრო გართულდება. ამას იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ დროზე მივხვდეთ საქმეს, არ მივიჩნიოთ წვრილმანად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მეთერთმეტე მუხლში ნათქვამია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში საწარმოს საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს წარმოების ტექნიკური დონისა და ორგანიზაციის მუდმივ ამაღლებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, მაღალი ხარისხის, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, მის დროულ განახლებას, მომხმარებელთა მოთხოვნების ყველაზე სრულ დაკმაყოფილებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მასშტაბური, კომპლექსური და დროული გამოყენება, ეფექტიანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება საწარმოს მოგების (შემოსავლის) ზრდისა და მისი საწარმოო და სოციალური განვითარების თვითდაფინანსების უმნიშვნელოვანესი გზაა. პროდუქციაზე, რომლის პარამეტრები შეესაბამება ან აღემატება უმაღლეს მსოფლიო მიღწევებს, საწარმო უფრო ძვირად ყიდის, ხოლო მოძველებული და მეორეხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის საწარმო იხდის საბითუმო ფასების ჩამოკლებულ თანხას, აკისრია მატერიალური პასუხისმგებლობა და აქვს გარდაუვალი დანაკარგები კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალში, ხელფასსა და სოციალურ საკითხებში.

ჯერჯერობით კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების მხრივ არა ვართ განებივრებული, მაგრამ, ალბათ, ამ საქმეს სულ მალე უნდა დაედგას თავი, უკან დასახევი გზა არ არის. საერთოდ, რა უკან დახევაზეა ლაპარაკი, როცა ჩვენს რესპუბლიკას საამისოდ ყველა შესაძლებლობა აქვს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის პოტენციალი ამ მხრივ პირდაპირ განუსაზღვრელია. აქ საჭიროა მხოლოდ საქმის სწორი, ღრმად გააზრებული ორგანიზაცია, მიზანმიმართული მოქმედება, შემოქმედებითად მოაზროვნე ძალების კონცენტრაცია, მატერიალური სტიმულირების ფორმების ძიება, შრომის ობიექტური ანაზღაურება და სხვა.

პარტიის მიერ დასახული უდიდესი ამოცანის გადაწყვეტისათვის შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევისათვის უკვე მეთორმეტე ხუთწლედში უნდა გაკეთდეს ძალიან ბევრი.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

ეს დღეები [illegible] რაიონში.
„კომუნისტის" ფოტოკორესპონდენტის ვილიკ კრიმსკის ფოტოქრონიკა.

დიდთოვლობა საქართველოში

ქედა: როგორც პარტიის რაიკომიდან გვაცნობეს, ხანმოკლე შესვენების შემდეგ კვლავ დაიწყო ბარდნა. თუ იგი წინანდელ უკვე დატკეპნილ თოვლზე ღრმა ფენას დადებს, მაშინ თავიდან ვერ ავიცილებთ ზვავებს, რომლებმაც უამისოდაც უკვე ბევრი საზრუნავი გაგვიჩინეს. იძულებული ვიყავით სასწრაფოდ გაგვეხიზნა 15 ოჯახი, ამ დღეებში ჩამოწოლილმა ზვავმა დააზიანა სამი საცხოვრებელი სახლი სოფლებში დანდალოსა და პირველ მაისში. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. სტიქიასთან ბრძოლის რაიონულმა შტაბმა დარაზმა მთელი ძალები და არსებული მექანიზმები გზების გასაწმენდად. ახლა ყველა სოფელთან დამყარებულია სატელეფონო კავშირი, აღდგენილია აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზები, რაიონის დასახლებული პუნქტები შეუფერხებლად მარაგდებიან ელექტროენერგიით. სოფლებში მიტანილია ფქვილი, სხვა სასურსათო პროდუქტები. ყველა სკოლაში განახლდა მეცადინეობა. ყველაზე ზვავსაშიშ ადგილებში და გზებზე შექმნილია საგუშაგოები.

აბაშა: თოვამ რაიონს გვერდი აუარა, ავდრის დღეებში აქ ნალექი ძირითადად წვიმის სახით მოვიდა. ამის შედეგად მდინარეები ადიდდა და დატბორა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც დათესილი იყო ბოსტნეული კულტურები და მრავალწლოვანი ბალახები. საგრძნობი ზარალი მოგვაყენა აგრეთვე აქ გრიგალისებურმა ქარმა, რომელმაც სახურავი მოგლიჯა მეცხოველეობის ფერმებს, მწყობრიდან გამოიყვანა ელექტროგადამცემი ხაზები. კეთილაურის საბჭოთა მეურნეობაში ფერმას მთლიანად გადახადა სახურავი. რაიონული შტაბის განკარგულებით აქ გამოგზავნეს საავარიო ბრიგადა და საშენი მასალები. ფერმა ხელმეორედ გადახურეს.

— შეფერხებებმა ელექტროენერგიით მომარაგებაში და გრიგალის შედეგებმა გავლენა მოახდინა პირუტყვის პროდუქტიულობაზე, — თქვა პარტიის აბაშის რაიკომის მეორე მდივანმა რომან კიზირიამ, — ყოველდღიურად ჩვენი ფერმები იძლევიან 10-11 ტონა რძეს, ხოლო უკანასკნელ დღეებში ეს მაჩვენებელი 8 ტონამდე შემცირდა. ახლა სამეურნეო ცხოვრება რაიონში თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება. იმედი გვაქვს, რომ არა მარტო გავზრდით წველადობას წინანდელ დონემდე, არამედ გადავაჭარბებთ კიდეც მას, რათა ავანაზღაუროთ ავდრით გამოწვეული პროდუქციის დანაკარგები.

ბორჯომი და ბორჯომის ხეობა ზამთარში უთოვლოდ ვის გაუგია, მაგრამ როცა ტაბაწყურსა და ბალანთაში ორ-ნახევარი მეტრი თოვლი დადო, ხოლო ცხრაწყაროს უღელტეხილზე ზოგან ხუთი მეტრიც, ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, ბორჯომის ხეობას დიდი ზამთარი სტუმრებია.

პირველი, რაც უნდა ვთქვათ, ის არის, რომ ზამთრის სტიქიას არსად მსხვერპლი ან სერიოზული ნგრევა არ გამოუწვევია. მცირე ზარალი, რა თქმა უნდა, არის: ტაბაწყურში დაინგრა ბოსელი, ქიხარულაში — ფურნე, ბალანთაში — ცხვრის ფარეხი. ყვიბისისა და დვირის საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩამოწვა მეცხოველეობის ფერმის სახურავები.

რამდენიმე სოფელი — მოლითი, ქიხარულა, გუჯარეთი, ბალანთა, ტაბაწყური დიდთოვლობის გამო მოწყვეტილია გარე სამყაროს, მაგრამ აქაც არაფერია საგანგაშო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული სტიქიის მოსალოდნელი შემოტევის გამო და მათაც დროულად დაიჭირეს თადარიგი, დიდი ოდენობით შეიტანეს სოფლებში სურსათი და პირველი მოთხოვნილების საგნები.

თადარიგი დაიჭირეს

ამ დღეებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაწყებულ დიდთოვლობას მომზადებული შეხვდნენ რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული სამსახურები. ზუსტად მუშაობდნენ ენერგეტიკოსები, რომლებმაც დენი გაუშვეს მაღალი ძაბვის „კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზით, ენგურის ჰიდროელექტროსადგურს სტავროპოლის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურთან რომ აკავშირებს. შესაძლებლობათა „პიკით" ფუნქციონირებენ თბოელექტროსადგურებიც.

აცივებამ მაზუთის ინტენსიური ხარჯვა გამოიწვია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა სათბობით, ელექტრო და თბოენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხს, ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მთის რაიონებში სათბობის მარაგის ოპერატიულ შევსებას. მაგალითად, ბორჯომში მისი მარაგი 2-3 დღეს არ აღემატება. ეს ხომ მთელი წლის მანძილზე მოქმედი საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. დამსვენებლები არ უნდა დარჩნენ თუნდაც ხანმოკლე დროის მანძილზე სათბობისა და ცხელი წყლის გარეშე.

წალკაში იწურება ქვანახშირის მარაგი, რაც აგრეთვე მოითხოვს შესაბამისი სამსახურების დაუყოვნებლივ რეაგირებას.

არ სწორდება ბიტუმით რესპუბლიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვითარება. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მალე იგი გაცილებით მეტი დასჭირდებათ: თოვლით დაზიანებული გზები დროულად უნდა შეკეთდეს.

ზამთარი იწურება, რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში კი, მაგალითად, თბილისისა და მცხეთის საშენ მასალათა კომბინატებში არ იზრუნეს იმისათვის, რომ შეესრულებინათ სიცივეებისათვის მოსამზადებლად დასახული ღონისძიებები.

თათბირზე შეიმუშავეს გამოვლენილ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციის, სათბობითა და ენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის შეუფერხებელი უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

(საქინფორმი).

წერილები „კომუნისტს"

გულისხმიერად მოეკიდნენ

ვცხოვრობ თემქის დასახლების მე-10 კვარტალის 33-ე კორპუსის მესამე სადარბაზოს № 45 ბინაში.

თითქმის ათი წლის მანძილზე ჩემს ბინაში სახურავიდან ჩამოდიოდა წვიმა — შემოსასვლელში თუ სააბაზანოში, საძინებელ თუ სასტუმრო ოთახებში, სამზარეულოსა თუ შუშაბანდში, ასე რომ, ყველგან ჩამოშლილია შელესილი ადგილები, ამოცვენილი იყო პარკეტიც.

1978 წლიდან № 7 საბინაო-საექსპლოატაციო უბანში იწერებოდა აქტები ლენინის სახელობის რაისაბჭოსთან არსებული საბინაო ტრესტის მისამართით. როგორც იქნა, 1983 წელს მთელი სახლის სახურავი თუნუქით გადახურეს, მაგრამ უხარისხოდ. თუნუქი დახურულია კრამიტისებურად და ერთმანეთთან არ არის შეკავშირებული. ამიტომ ხშირი წვიმების დროს ისევ ჩამოდიოდა წვიმის წყალი ოთახებში.

1987 წლის ნოემბერში მივმართე № 7 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის ახალ უფროსს ჯ. ურატაძეს. ამდენი წლების მანძილ- [illegible] ბოჭორიშვილი და მთავარი ინჟინერი ი. ქებაძე. ტრესტში შევიტყვე, რომ ბინის შეკეთება 15 ნოემბრისათვის დავალებული ჰქონია სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს ე. მგელაძეს.

მოვიდა სამუშაოს მწარმოებელი ა. წამალაიძე — ნახა დასველე- [illegible] გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა უთხრათ ამ გულისხმიერ ადამიანებს, დაე, მუდამ ასე პირნათლად და დროულად დახმარებოდნენ ყველა მობინადრეს.

შ. გეთიაშვილი,
თბილისი.

დებულება უნდა შეიცვალოს

ჩვენი აზრით, უთუოდ საგულისხმო პრობლემაა წამოჭრილი გაზეთ „კომუნისტის" 1987 წლის 4 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ჯილდოს ღირსეული უნდა იღებდეს".

წერილში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ცალკეულ მოქალაქეთა სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის და საერთოდ ჯილდოების მიღების საქმეში უთუოდ არის ფორმალიზმი, მიკერძოება, სუბიექტივიზმი, პროტექციონიზმი, და ხშირად იგი უფასურდება. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ დაჯილდოებას ფაქიზი მიდგომა სჭირდება".

ყველაფერი ეს ეხება საპატიო წოდებების მინიჭებასაც და იუბილეების მოწყობასაც. ცხადია, ასეთ ვითარებაში ზოგნი „ამბიციის ბაცილით" ავადდებიან, თვითონვე ცდილობენ და აღწევენ კიდეც დაუმსახურებელ ჯილდოს, იუბილეების მოწყობას და ა. შ.

რა თქმა უნდა, არ გვჭირდება იმის მტკიცება, რომ მოქალაქის დაჯილდოება კანონზომიერი გზით უნდა ხდებოდეს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმ პირთა კეთილსინდისიერება, რომლებიც თავიანთ ქვეშევრდომთ წარადგენენ ჯილდოზე. ცხადია, მათ ობიექტურობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მე ვფიქრობ, რომ სწორედ აქ იღებს სათავეს ბევრი ნეგატიური მოვლენა.

უღირს ან ნაკლებად ღირს პირთა წარდგენა და დაჯილდოება საზოგადოებაში იწვევს უკმაყოფილებას, ცუდი ხმების გავრცელებას, სოციალურ უსამართლობას. არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ უღირსმა წინ გაუსწროს ღირსეულს (განა ჩვენთვის უცხოა ის ფაქტი, რომ ღრმად დაჯილდოებულთა და წოდებამინიჭებულთა შორის გვხვდებიან ასეთებიც).

ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს იმათზეც (და ეს ყველამ იცის), ვინც ნამდვილად ღირსია დაფასებისა და წახალისებისა და ამ შეუსაბამობის შედეგად უჯილდოოდ რჩება.

ასეთი მოვლენები რომ მინიმუმამდე შევამციროთ, მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ დასაჯილდოებელ პირთა შერჩევისას, არ დავუშვათ მიკერძოება და პროტექციონიზმი, ბოლომდე ვიყოთ პრინციპულები. ამ მხრივ სწორად მიმაჩნია აზრი: ამ საქმეში უნდა იყოს საჯაროობა, დაჯილდოების საკითხი შრომითი კოლექტივის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

მთავრობის ჯილდოებზე წარდგენის და საერთოდ დაჯილდოების შესახებ არსებულ დებულებას არ ვიცნობ, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი სრულყოფილი არ არის და გადასინჯვას მოითხოვს.

ერთი სიტყვით, პირადად მე ღირსეულ ადამიანთა დაჯილდოების დიდი მომხრე ვარ. რა თქმა უნდა, დაჯილდოება იყო, არის და მომავალშიც აუცილებლად უნდა იყოს, რადგან იგი შეესაბამება სოციალიზმის ერთ-ერთ პრინციპს — მორალური და მატერიალური წახალისების პრინციპს. ოღონდ ჯილდო ჰაიჰარად არ უნდა გასცენ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი ღირსეულმა მიიღოს და ამით საერთო-სახალხო, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე კეთდებოდეს.

ა. აზნაურაშვილი,
თბილისჰიდროპროექტის მთავარი ენერგეტიკოსი.

ნოვატორთა ყრილობა

უახლოესი ხუთწლეულისათვის ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობის საქმიანობის ვრცელი პროგრამის საფუძველი გახდება სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა VII საკავშირო ყრილობის შედეგები, რომელმაც 4 თებერვალს დაამთავრა მუშაობა მოსკოვში. სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრების თითქმის ცამეტმილიონიანი რაზმის წარმომადგენელმა 1400 დელეგატმა დემოკრატიზმის ვითარებაში განიხილა თავისი საქმიანობის მომწიფებული საკითხები, რამაც აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი გარდაქმნის პროცესებს.

დელეგატთა გამოსვლები გამოირჩეოდა გულახდილობით, აქტიურობითა და სიმწვავით. ყრილობის ტრიბუნიდან გამოითქვა ბევრი საინტერესო წინადადება, საყურადღებო იდეა, ახალი თაოსნობანი, აღნიშნეს გარდაქმნის პირველი გამოცდილება სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მუშაობაში, დასახეს ძიების ორიენტირები.

კამათი დამთავრდა. დელეგატებმა მიიღეს დადგენილება, რომელშიც იწონებენ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს მუშაობას საანგარიშო პერიოდში. დაამტკიცეს ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

საანგარიშო მოხსენებაში, დელეგატთა გამოსვლებში ერთსულოვნად იყო მოწონებული წინადადება სსრ კავშირის სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის შექმნის შესახებ. დელეგატებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი დადგენილება: „საზოგადოებრიობის ფართო წრეების აზრის გათვალისწინებით შეიქმნას სსრ კავშირის მეცნიერთა და ინჟინერთა საზოგადოებები. ეს ყრილობა ჩაითვალოს სსრ კავშირის სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პირველ დამფუძნებელ ყრილობად".

დამფუძნებელი ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კავშირის, ყველა საზოგადოების მთავარი ამოცანაა სამეცნიერო-ტექნიკური კადრების პოტენციალი გამოიყენონ სკკპ XXVII ყრილობის, განვითარების ინტენსიურ გზაზე სახალხო მეურნეობის გადაყვანისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მეცნიერთა და ინჟინერთა ფორუმმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გარდაიქმნას საკავშირო სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და საინჟინრო საზოგადოებების საქმიანობა. ისინი ორგანიზაციას უნდა უწევდნენ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის მთელი ძალების ურთიერთმოქმედებას მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების განვითარებაში, აყალიბებდნენ საზოგადოებრივ აზრს, გამოდიოდნენ როგორც სამეურნეო ორგანოების პარტნიორები და ოპონენტები, უზრუნველყოფდნენ საჯაროობასა და ფართო დემოკრატიას, მეცნიერულ პრინციპულობას, ალტერნატიულ მიდგომას კონსტრუქციულ გადაწყვეტათა ძიებაში.

ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს სსრ კავშირის სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის წესდება. შემდეგ აირჩიეს ახალი კავშირის გამგეობა, მისი ცენტრალური სარევიზიო კომისია. გაიმართა გამგეობის პლენუმი, რომელმაც მის თავმჯდომარედ აირჩია აკადემიკოსი ა. ი. იშლინსკი. (საქინი).

ურეკლამაციოდ

„ელვას“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის კოლექტივმა მიზანმიმართული მუშაობით, კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ორი წელია, რაც საწარმოს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა № 2 სამონტაჟო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ქეთევან ძალოშვილი ხელმძღვანელობს.

სურათზე: ზემოხსენებული საამქროს პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე თინათინ ლობჟანიძე, საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე მამუკა გოქსაძე, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი კახაბერ ბასილაშვილი და წუნმდებელი მარინე ბიჭაშვილი ამოწმებენ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრის მერი მუზაშვილის ნახელავს.

ვ. გენგიურის ფოტო.

საჯაროობა: კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტი

ახლახან დაიწყო საჯარო განხილვა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტისა, რომელიც სსრ კავშირის საზაგრომრეწვმა და კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭომ მოამზადეს. წლეულს მარტში მას დასამტკიცებლად წარუდგენენ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო IV ყრილობას. ამჟამად მოქმედი წესდების მიღების შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე. მისი ზოგიერთი დებულება აშკარად მოძველდა, ერთმა ნაწილმა კი მალე დაკარგა ძალა, რადგან ცხოვრებამ, პრაქტიკამ იგი იმთავითვე უარყვეს. ახალი წესდების მიღების აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ დადგა ქვეყნის ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნის დაწყების შემდეგ. ნათელი გახდა, რომ ახალი სამეურნეო მექანიზმის მთელი ძალით ამოქმედება, კოოპერაციის სრულყოფა, აგროსამრეწველო კომპლექსის ინტეგრაცია ვერ განხორციელდება კოლმეურნეობის მოძველებული წესდების ფარგლებში.

წესდების პროექტის ირგვლივ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარეს, მახარაძის რაიონის ნატანების აგროფირმა-კოლმეურნეობის ხელმძღვანელს, სოციალისტური შრომის გმირს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **გივი წითლიძეს** ესაუბრა ჟურნალისტი **ოთარ კაციტაძე**. გთავაზობთ ამ დიალოგის ჩანაწერს.

— დავიწყოთ პროცედურული საკითხით. როდის დაიწყო მზადება წესდების პროექტის შესამუშავებლად და რა მუშაობა უძღოდა პრესაში მის გამოქვეყნებას.

— მოქმედი წესდება რომ მოძველდა და ველარ უპასუხებდა სოფლად მიმდინარე ღრმა პროცესებს, დიდი ხანია იგრძნობოდა, მაგრამ ეს უფრო აშკარა გახდა სახალხო მეურნეობის იმ ძირეული ეკონომიკური გარდაქმნების დონეზე, რომლებიც ბოლო ...

... უკეთ იცის, სოფლის მეურნეობის რომელ პროდუქტზეა უფრო მეტი მოთხოვნილება, რა სჭირდება საკოლმეურნეო ბაზარს, მომხმარებელს და, თუ გნებავთ, თვით საკოლმეურნეო კომლსაც. ახლა მკრეხელობად გვეჩვენება, ხელშეწყობის ნაცვლად როგორ ვუშლიდით ხელს გონიერ მეურნეს ჰქონოდა სასათბურე მეურნეობა და ამის წყალობით მოეწია მეტი მოსავალი.

წესდების პროექტის მიხედვით კოლმეურნეობას უფლება ...

... ხორციელდებოდა. ... კოლმეურნე ვერ ... მეურნეობის ... სხვათა შორის, ... მეურნეობის თავმჯდომარეებიც სცოდავდნენ, ხშირად ნებაყოფლობით თმობდნენ პოზიციებს, ვერ იყენებდნენ ფართო უფლებებს, რომლებიც წესდებით ჰქონდათ მინიჭებული. ახლაც არ არის იშვიათი, როდესაც კოლმეურნეობებს ათასნაირ მითითებებს აძლევენ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების, ფინანსების თუ ბანკის ორგანოების მუშაკები, რომლებიც უზოდიშოდ ერევიან მის საქმიანობაში. პრაქტიკით დადგენილია, რომ ვერც ერთი კარგი კანონი ვერ ამოქმედდება მთელი ძალით, ვერ მოიტანს სათანადო შედეგს, ვერ მიაღწევს მიზანს, თუ მას არ იცავს, პატივს არ სცემს ის, ვინც უპირველესად არის მოწოდებული იბრძოლოს მისი ყველა დებულების შესრულებისათვის. არიან თუ არა მზად კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, მართლაც დამოუკიდებლად მართონ თავიანთი მეურნეობები და განუხრელად იხელმძღვანელონ წესდებით — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონით.

— თქვენ მართალი ბრძანდებით. ...

...

ობა მოვალეა წაახალისოს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობაც. ჩვენ მხოლოდ ახლა ვგრძნობთ, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა ამკრძალავმა ნორმებმა სოფლად ამ საქმის განვითარებას. განსაკუთრებით შეუწყნარებელია, რომ ამის გამო იკარგებოდა რეწვის უძვირფასესი ხალხური ნიმუ-

მშრომელი მეურნის სასიკეთოდ

დიალოგი კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარესთან

შები, რომლებიც ტრადიციულად ვითარდებოდა საუკუნეთა მანძილზე და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დადგა დრო, საგანგებო ყურადღება მიექცეს ამას. კოლმეურნეობას წესდების მიღების შემდეგ უფლება ეძლევა ერთდროულად ეწეოდეს აგრარულ-სამრეწველო, სამრეწველო-სავაჭრო, სამეურნეო წესით სამშენებლო და სხვა საქმიანობასაც. ეს ართულებს საქმეს და მოითხოვს მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენებას. მართვა ამ მე-

...

ბულებაც, რომ კოლმეურნეს უფლება აქვს საკარმიდამო ნაკვეთი თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს, მოიყვანოს კანონით აუკრძალავი ყველა კულტურა, ისარგებლოს სათბურებით და გამთბარი გრუნტის სხვა ნაგებობებით. კარგმა მეურნემ თვითონ ...

... გილი აქვს დათმობილი შიდასაკოლმეურნეო ცხოვრებაში დემოკრატიისა და საჯაროობის დამკვიდრებას, კოლმეურნეობის დამოუკიდებლად მართვას. ასეთი დებულებები ადრინდელ წესდებაშიც იყო შეტანილი, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკულად არ ...

... ბლობას მიიღებს. ამ პროცესებს, ისევე როგორც ყველა პრობლემას, მართვა სჭირდება, და კოლმეურნეობის გამგეობებმა უნდა ითავონ ეს საქმე. წესდება სოფლად მცხოვრები ამ კატეგორიის ადამიანებისათვის არავითარ შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

პრობლემა

რატომ არის მცირემოსავლიანი ბოსტნეულის სათბურები

ყურადღებას ვთხოვთ აგრომრეწვს, მის სამსახურებს, პარტიის რაიკომებს და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს

▼▼

...

შერჩეული აქვთ ბოსტნეულის მოყვანის ადგილობრივ პირობებს მისადაგებული პროგრესული ხერხი — ჰიდროპონიკური მეთოდი. მაგრამ დასანანი ის არის, რომ ესოდენ დიდი დრო დასჭირდა იმ ხერხის შერჩევას, რომელიც ზემოხსენებული სათბურის აშენებამდეც აღიარებული იყო როგორც ...

... სრულყოფილ ფორმაზე — ბრიგადულ იჯარაზე გადავიდა. მესათბურეთა მონაწილეობით სრულყოფილი ტექნოლოგიური რუკების საფუძველზე ყოველ ბრიგადას განესაზღვრა ხელფასის ფონდი — 22 ათასი მანეთი. ესე იგი თითოეულ მესათბურეს 1000 მანეთი მოუწია, მაგრამ როცა საქ- ...

... სამეურნეო შედეგები (კვადრატული მეტრიდან 23 მანეთი და 20 კაპიკი შემოსავალი). ბრიგადირს თენგიზ დათუნაშვილს მიაჩნია, რომ ამ მაჩვენებელს, რომელიც საშუალო საკავშიროზეც უკეთესია, მათ მიაღწიეს შრომის უკეთესი ორგანიზაციით, მეტი მომჭირნეობით.

...

მისწრება დაცული გრუნტის მებოსტნეობისათვის.

მოსავლიანობითა და ეკონომიკური მაჩვენებლებით ბევრად უკეთესად არც სხვა სათბურ-კომბინატები გამოიყურებიან.

ამ გარემოებამ, უნიათო მეურნეობრიობის მაგალითებმა, ბუნებრივია, საქმეში საკმაოდ ჩახედულთა ერთი ნაწილი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საზოგადოებრივ სათბურებში ბოსტნეულის მოვლა-მოყვანა ან ხელმიშვებულია, ან ...

...

მე აწონ-დაწონეს, გადაწყვიტეს, რომ ამას 18 მუშაც იოლად გაართმევდა თავს.

ვინ უნდა წასულიყო ბრიგადიდან?

...

იჯარამ გურჯაანელ მესათბურეებს დაანახვა, რომ ხელფასი კი არ მიიღება, არამედ გამოიმუშავება. ამგვარად შრომა კი ყოველდღიურ ანგარიშს საჭიროებს. და აქ ანგარიშობს არა მარტო ბუღალტერი, ეკონომისტი და ბრიგადირი, არამედ თითოეული მუშა. მაგალითად, №1 ბრიგადის წევრმა ნათელა მღებრიშვილმა იცის, რომ ბრიგადის ძირითადი ხელფასის ფონდი იყო 22 ათასი მანეთი, საიდანაც დახარჯეს მხოლოდ 19 ათასი; ნაშთი — 3 ათა- ...

...

... დანერგვამ სპეციალისტები ... ძულა დაეხვეწათ ტექნოლოგია ... შრომის ორგანიზაცია, რიგი- ... მუშები კი — ემებნათ რეზერვე- ... თავიანთ სამუშაო ადგილზე, ... თა დანახარჯები მინიმუმამდე ... მცირებინათ. ... ხელმძღვანელობის, სპეციალი- ...

... ათ ბრიგადირი ტრაქტორისტს უწყისზე „თვალსუჭულა“ უწერდა ხელს, ბუღალტერიაც ყველაფერს უნაზღაურებდა. ახლა კი თითოეულ კილომეტრს, ტონას გულდასმით ანგარიშობს.

ავიღოთ მეორე მაგალითი. ჩვეულებრივ, სათბურის გარშემო შე- ...

... ვი მოუმზადებელია. ბრიგადაში არ იციან, თუ რამდენს შეადგენს მათი ხელფასის ფონდი, რა სახის დანამატები ეძლევათ, რამდენი პროდუქცია მიიღეს; წლის ბოლოს აკორდული შეფასების სახით რა ეკუთვნით წარმოებული ყოველი ცენტნერი პროდუქციის- ...

... ნელთა მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რატომ არის მცირემოსავლიანი საზოგადოებრივი სათბურები და რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

ვ. კასრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მეფრინველეებმა ახლებურად უნდა იმუშაონ

აფხაზეთში, სადაც სასურსათო პროგრამის გადაწყვეტისათვის მუშაობს სამი მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკა, სულ უფრო ხშირად იგრძნობა მათი პროდუქციის ნაკლებობა.

ოჩამჩირის რაიონის კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკაში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა წელიწადში რვა მილიონი ბროილერის სიმძლავრის ამ საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის გადიდების საკითხები.

ძირითად საკითხად თათბირზე დაისვა პრობლემა, რომ ფაბრიკა გამოეყვანათ პროექტით გათვალისწინებული საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების 'გარღვევისაგან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებით საჭიროა კოლექტივის ზუსტი სტაბილური მუშაობა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის მზადების პირობებში. საფუძვლიანად გააანალიზეს სახელმწიფო დავალებების შეუსრულებლობის, პროდუქციის ხარისხის შემცირების მიზეზები.

თათბირმა დასახა მეფრინველეობის ფაბრიკის რაიონში შექმნილი სანიტარიული მდგომარეობის, ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ღონისძიებანიც.

თათბირზე განიხილეს ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკის, კინდღის სასათბურე კომბინატის პრობლემები და საქმის ვითარება გარდაქმნის მოთხოვნების მიხედვით მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ჩითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, „საქფრინველმრეწვის" თავმჯდომარე ვ. გვარჯალაძე, რესპუბლიკის სხვა პასუხისმგებელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები.

▼ ▼

გამოვიდა ა. ა. გრომიკოს მემუარები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ორ წიგნად გამოუშვა ა. ა. გრომიკოს მოგონებანი „სამახსოვრო".

ავტორი გვესაუბრება ისტორიულ მოვლენებზე, რომელთა მოწმე ან მონაწილე თავად იყო, ქვეყნებზე, სადაც მუშაობდა, შეხვედრებზე სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, გამოჩენილ მეცნიერებთან და კულტურის უღვალსაჩინოეს ოსტატებთან.

მოგონებანი ფართო წარმოდგენას გვიქმნის სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკაზე. ვრცელი ცხოვრებისეული მასალის საფუძველზე ავტორი აშუქებს ომისა და მშვიდობის პრობლემებს, დიპლომატიურ ხელოვნებას, ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის სკკპ XXVII ყრილობის მნიშვნელობას.

▼ ▼

ბრაზილიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები საქართველოში

პარადოქსია, მაგრამ სწორედ თქვენს სუბტროპიკებში ვნახე პირველად თოვლი. დიდთოვლობისა და სიცივის ფონზე განსაკუთრებით იგრძნობოდა მასპინძლების სითბო, მათი სტუმართმოყვარული დამოკიდებულება ჩვენდამი, მათი კეთილმოსურნეობა, გულითადობა, თანამშრომლობისადმი მისწრაფება, — თქვა ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელმა ადემირ მედინამ. დელეგაცია, რომელსაც იგი მეთაურობს, საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის მოწვევით. სტუმრები რამდენიმე დღეს ეცნობოდნენ საქართველოს.

— ძალზე გვესიამოვნა, — აღნიშნა მედინამ, — რომ თქვენი ახალგაზრდობა ასე სათუთად ინახავს წინაპართა მემკვიდრეობას და ამასთანავე ცდილობს გაამდიდროს თავისი ერის სულიერი კულტურა, გამოდის სსრ კავშირში ამჟამად მიმდინარე გარდაქმნის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის განახლების მამოძრავებელ ძალად. ამაში დავრწმუნდით, როდესაც შევხვდით და ვესაუბრეთ თქვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობის ორგანიზაციათა უშუალო პარტნიორული ურთიერთობისათვის სასიკეთო პერსპექტივები დაისახა. გათვალისწინებულია სტუდენტთა დელეგაციების გაცვლა, სსრ კავშირის კომკავშირულ-ახალგაზრდული ორგანიზაციების წარგზავნილთა მონაწილეობა ინტერნაციონალურ მარშში, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში უნდა მოეწყოს ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში დევიზით „ლათინური ამერიკა — მშვიდობის ზონა".

სტუმრები იყვნენ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, „ქართული ფილმის" კინოსტუდიაში, რესპუბლიკის დედაქალაქის სასწავლებლებში.

▼ ▼

საქართველო-კაპისა: ფართოვდება საშეფო კავშირურთიერთობა

ქაბულში ხელი მოაწერეს ოქმს გორის ბამბეულის საწარმოო საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანებისა და გულბაჰორის საფეიქრო კომბინატის საშეფო კავშირურთიერთობის შესახებ. გორელებმა ვალდებულება იკისრეს ავღანელ მეგობრებს გააცნონ მოწინავე ტექნიკა და ტექნოლოგია, შრომის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, მისი უსაფრთხოების სრულყოფის პირობები, კულტურულ-მასობრივი მუშაობის გამოცდილება. ისინი მათ გაუწევენ მატერიალურ დახმარებას, ხელს შეუწყობენ კომბინატის ერთ-ერთი განყოფილების მექანიზაციაში. ამ ზაფხულს ჯავის პიონერთა ბანაკში დაისვენებენ ავღანელი ბავშვები.

— ორი საწარმოს თანამშრომლობა ვითარდება შარშან აგვისტოში დადებული საქართველოსა და ავღანეთის რესპუბლიკის კაპისის პროვინციის პირდაპირი კავშირურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, — თქვა ქაბულიდან დაბრუნებულმა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწემ ა. სვიმონიშვილმა, — ხელშეკრულებების მიზანია, ხელი შეუწყოს კაპისის პროვინციის საარსებო მნიშვნელობის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას.

საზოგადოებრივი ცხოვრება

აფართოებენ გავლენის სფეროს

საქართველოს სსრ ქალთა საბჭოს სხდომა

დიდია ქალის როლი თანამედროვე მსოფლიოში. დღეს ისინი აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ცხოვრების განახლების პროცესებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ქალები კიდევ უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ეკონომიკისა და კულტურის მართვაში, გამოვუცხადოთ მათ მეტი ნდობა და გავუწიოთ მხარდაჭერა. იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ეს მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში, დიდი სჯაბაასი იყო საქართველოს სსრ ქალთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა თბილისში.

მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქალთა საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, მრავალი სხვა პროფესიის წარმომადგენლები, ვისი შრომაც გამსჭვალულია ადამიანისათვის გამუდმებული ზრუნვით.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. ა. ჯავახიშვილის, სხვა ორატორების გამოსვლებში გაანალიზებული იყო გასული წლის მანძილზე გაწეული მუშაობა, დაისახა პერსპექტიული ამოცანები.

დღეს რესპუბლიკური საბჭოს მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობს 55 ათასზე მეტი ქალი, რომლებიც გაერთიანებული არიან საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამედიცინო დაწესებულებების, სოციალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების 5 ათასზე მეტ ადგილობრივ საბჭოში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში, ზრუნავენ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციისათვისაც, მათ აბამენ ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითმოქმედების წრეებში, სპორტულ სექციებში.

ქალთა საბჭოების განსაკუთრებული ყურადღების სფეროა ოჯახის განმტკიცების საკითხები. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ხშირია განქორწინება. მისი შედეგები განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს ბავშვების ბედზე. არეული ოჯახებიდან ივსება ყველაზე ხშირად საბავშვო სახლების კონტინგენტი.

მნიშვნელოვანია ქალთა საბჭოების როლი ჩვენი საზოგადოების შემდგომი სულიერი განწმენდის, ლოთობასთან, ნარკომანიასთან, სხვა მანკიერ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში. ამ მუშაობაში სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ოჯახში ჯანსაღი ურთიერთობის შექმნაზე, მოსწავლეებისა და სტუდენტების სამართლებრივ აღზრდაზე, სამედიცინო განათლებაზე.

ქალთა საბჭოების მუშაობის ახალი ეტაპი დაიწყო სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ამოქმედებით. ქალთა საბჭოებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით უნდა განახორციელონ მშრომელთა უფლებების საიმედო დაცვის ღონისძიებათა კომპლექსი, იზრუნონ მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით მთელ რიგ საწარმოებში უკვე გაიხსნა სასურსათო მაღაზიები, საბავშვო ბაღები, შეიქმნა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამსახური. გარდა ამისა, ქალთა საბჭოებს სულ უფრო მეტი უფლება ენიჭებათ შრომითი კოლექტივების დემოკრატიზაციის პროცესების მართვაში. კერძოდ, ისინი აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ წარმოების გეგმების ჩამოყალიბებაში, სოციალური და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის სახსრების განაწილებაში. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ განახლების პროცესები.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

საბჭოთა პატრიოტიზმი

გმირი, შვილი მასწავლებლისა...

გმირობა, გმირი... რაოდენ ტევადი და მრავლისმეტყველია ეს სიტყვები. ვამბობთ მათ და თვალწინ წარმოგვიდგებიან ჭეშმარიტად სამაგალითო ადამიანები, სისხლი და თვით სიცოცხლეც კი რომ არ დაუშურებიათ მშობელი ხალხისა და ქვეყნისათვის. ისინი ახლაც, მრავალი წლის შემდეგაც, საგმირო საქმეთათვის აღანთებენ შთამომავლებს.

ჭეშმარიტი გმირის ცხოვრებისა და ბრძოლის ერთი ნათელი, ტიპური მაგალითია კომუნისტის, უმცროსი სერჟანტის შოთა გამცემლიძის საბრძოლო ცხოვრება და მხედრული შემართება, რომელმაც კრიზისულ სიტუაციაში მიიღო ვაჟკაცური გადაწყვეტილება, ყველას რომ არ ხელეწიფება ისეთი, და ამხანაგების გადასარჩენად გასაოცარი გმირობა ჩაიდინა: მტრის შემოტევის მოგერიებისას მის მეწინავე მძიმე ტანკს შეუვარდა, ააფეთქა იგი, სხვებს კი გზა გადაუკეტა, რითაც თანაპოლკელებიც გადაარჩინა და მათი გამარჯვებაც უზრუნველყო.

რა არის ასეთი იშვიათი გმირობის, უკეთილშობილესი საქციელის, ვაჟკაცობის მასაზრდოებელი წყარო, მისი ადამიანური, რაინდული თავისებურებანი და შინაგანი კანონზომიერებანი, ასეთ დიდ ძალასა და შესაძლებლობას რომ ანიჭებს ადამიანს?

ამ კითხვებს, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ და დამაჯერებლად უპასუხებენ 20 წლის გმირის მიერ დედისათვის ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათები. მოდით, თანამიმდევრობით გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

„სალამი საყვარელ დედას! დედა, ამ წერილს გზიდან გწერ, ისევ თბილისის შთაბეჭდილებებით ვარ სავსე. შენზე ვფიქრობ. არ მომეწონა, დედაჩემო, ცრემლებით რომ გამაცილე. შენ ხომ უშიშროება და სიმტკიცე ჩამინერგე გულში. ამიტომ აღარ უნდა აღელვებულიყავი, მით უმეტეს, სულ იმას ამბობდი, ამ ომში ყველაზე მეტად გულადი და უშიშარი გაიმარჯვებსო...

27. VIII. 41 წ.

ძვირფასო დედა, მე მინდა ფრონტზე კომუნისტი გავხდე, ხოლო ყოველი კომუნისტი უნდა ფიქრობდეს იმას, რომ ყველა ადამიანი კარგად ცხოვრობდეს. ფრონტზე ჩემი მეგობრები რომ კარგად იქნებიან, მეც არაფერი გამიჭირდება. ასე, რომ ჩემზე ნუ გედარდება. ერთი რამ გწამდეს: შენი შვილი, ჩემო საყვარელო დედიკო, სირცხვილს არ გაჭამევს. მე ყოველთვის გულში ვატარებ ჩემი სეხნიის ბრძნულ სიტყვებს:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი.

სულ კარგად მყავდე, დედა, არაფერი იდარდო, გკოცნი მრავალჯერ.

შენი შვილი შოთა.
1942 წლის თებერვალი

„ძვირფასო დედა, სალამი! მე კარგად ვარ, უკვე ყოველმხრივ მივეჩვიე ფრონტულ ცხოვრებას. კარგად დავეუფლე საბრძოლო ტექნიკას. ჩემთვის ახლა საშიში აღარაფერია ბრძოლის ველზე. ჰიტლერელებს შავ დღეს დავაყენებთ. შინ გამარჯვებული დაგიბრუნდები.

შენი შვილი შოთა".

5. III. 43

„გამარჯობა დედა! გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. მე კარგად ვარ. შეგიძლია იამაყო, დედაჩემო, შენი შვილი ახლა გვარდიელია და თანაც უმცროსი სერჟანტი. ჩვენი საქმეები ფრონტზე კარგად მიდის. ნურაფერი გედარდება, არ შეგარცხვენ, გამარჯვებული დაგიბრუნდები".

15.I.44.

„ჩემო საყვარელო დედა! გესალმები ფრონტელი შვილი და მსურს სულ კარგად მეყოლოს შენი თავი. ჩემზე ნუ იდარდებ, კარგად ვარ, ყოველდღე ცხარე ბრძოლები გვაქვს, დაუზოგავად ვანადგურებთ ფაშისტ მტარვალებს. ჩემო საყვარელო დედიკო, გაიხარე, მე უკვე პარტიის წევრობის კანდიდატი ვარ. სულ მალე გამარჯვების დროშას ავაფრიალებთ ბერლინში და მეც გამარჯვებული დაგიბრუნდები შინ. გკოცნი მრავალჯერ.

შენი შვილი შოთა".

რა შეიძლება დავუმატოთ მამაცი ჭაბუკის ამ ფრონტულ ბარათებს, ჯარისკაცური, მაღალი მებრძოლური სულისკვეთებით აღსავსე, გამარჯვებაში დარწმუნებული ახალგაზრდა კაცის გულით ნათქვამ სიტყვებს! მათში ნათლად ჩანს ავტორი, ამაღლებული სულისა და მიზნის მქონე მებრძოლის პატრიოტული სიტყვა და საქმე. მათში სრულად ჩანს ავტორის გმირული სულისკვეთებაც, საიმისო მზადყოფნა, რომ საჭიროებისას არაფრის წინაშე არ დაიხიოს უკან, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებისათვის.

მან ეს საქმითაც დაამტკიცა, ყველაფერი იღონა ძლიერი, გამოცდილი და ვერაგი მტრის დასამარცხებლად, გვიჩვენა იშვიათი მამაცობისა და გულადობის მაგალითი...

1945 წლის იანვარი იდგა. საბჭოთა ჯარები უკვე მტრის ტერიტორიაზე იბრძოდნენ. შოთა გამცემლიძე თანამებრძოლებთან ერთად აღმოსავლეთ პრუსიაში ანადგურებდა ფაშისტებს. იგი თავის ათეულთან ერთად ერთ-ერთი პირველი., შეიჭრა ქ. აულოვენსის ქუჩებში.

იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებდა და იბრძოდა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გვარდიის უმცროსი სერჟანტი, კომუნისტი შოთა გამცემლიძე, მოკლედ, მაგრამ დამაჯერებლად მოგვითხრობს ფრონტის სარდლობის საბრძოლო დახასიათება-წარდგინება.

... მტერი, ნათქვამია მასში, ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა შემტევ საბჭოთა ნაწილებს, ქალაქში პირველი შეიჭრა მესამე ბატალიონის ტანკსაწინააღმდეგო ათეულის მეთაური, გვარდიის უმცროსი სერჟანტი შოთა გამცემლიძე თავისი მეომრებითურთ. მათ ცეცხლი წაუკიდეს მოწინააღმდეგის ორ თვითმავალ ქვემეხს, მწყობრიდან გამოიყვანეს ჯავშანტრანსპორტიორი, რომლებიც ძლიერი ცეცხლით აფერხებდნენ ჩვენი ნაწილების წინსვლას.

დღის მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო გამწვავდა. გერმანელებმა დამატებითი ტანკები და თვითმავალი ქვემეხები ჩააბეს ბრძოლაში. მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა.

უმცროსმა სერჟანტმა შოთა გამცემლიძემ ტანკსაწინააღმდეგო თოფით ცეცხლი წაუკიდა ორ „ფერდინანდს", მაგრამ „ვეფხვის" სქელ ჯავშანს ვერაფერი დააკლო. მაშინ მამაცმა მეომარმა გადაწყვიტა ტანკი ხელყუმბარებით გაენადგურებინა. ერთმა ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარამ ტანკი ვერ დააზიანა. გამცემლიძემ, რაკი მეტი ხელყუმბარა არ ჰქონდა, ფარულად დატოვა თავისი საცეცხლე პოზიცია, ოცეულისაკენ გახოხდა, ამხანაგებს გამოართვა ხელყუმბარები, ერთ კონად შეკრა და უკან დაბრუნებისას თანამებრძოლთ გასძახა: „შეხედეთ, ბიჭებო, ახლა ბატონი „ვეფხვი" ჰაერში აფრინდებაო".

შოთა ფარულად მიხოხდა მტრის მრისხანე ტანკთან და ხელყუმბარების შეკვრით მუხლუხოებში შეუვარდა. გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა. მტრის მძიმე ტანკი „ვეფხვი" ჰაერში ავარდა და მამაცი მეომარი, გვარდიის უმცროსი სერჟანტი შოთა გამცემლიძე თან აიტაცა.

მან გმირულად გასწირა თავი, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღანთო ბრიგადის მთელი პირადი შემადგენლობა. მისი მამაცობა და გულადობა ახალი საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულების საწინდარი გახდა ფრონტზე...

ეს ტექსტი, ცხადია, მაშინდელი ბრძოლის მონაწილეების, გმირის თანაპოლკელთა ობიექტურ მონაცემებს ეყრდნობა. ისინი გმირის დედას, თბილისის 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს ნინო გამცემლიძეს წერდნენ: „ერთ-ერთ მკაცრ ბრძოლაში, მძაფრი იერიშის შედეგად გერმანელები ძლიერ გამაგრებული თავდაცვის ზღუდიდან გავრეკეთ. მტერი ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაებრუნებინა დაკარგული პოზიცია, მათი ტანკები კონტრშეტევაზე გადმოდიოდნენ. გადამწყვეტ მომენტში თქვენმა შვილმა თავი შესწირა სამშობლოს: ხელყუმბარის კონით შოთა მტრის ტანკს შეუვარდა და სიცოცხლის ფასად ააფეთქა იგი. ამან საშუალება მოგვცა მტერი უკუგვექცია და შეგვენარჩუნებინა თავდაცვის ზღუდე.

გვარდიელებმა ფიცი დავდეთ სასტიკად ვიძიოთ შური გერმანელებზე მებრძოლი მეგობრის სიკვდილისათვის. იმავე დღეს ჩვენი ნაწილი შეტევაზე გადავიდა და გააფთრებულ ბრძოლაში ასობით ჰიტლერელი გაჟლიტა.

პატივცემულო ნინო ალექსანდრეს ასულო! საბჭოთა ხალხი არასოდეს დაივიწყებს შოთა გამცემლიძის — ქართველი ხალხის ამ სახელოვანი შვილის თავდადებას.

ჩემი ნაწილის მებრძოლები და ოფიცრები მადლობას გიძღვნიან ასეთი გმირი შვილის აღზრდისათვის"...

კაცობრიობის ისტორიაში ამ ყველაზე სისხლისმღვრელი ომის 1418 დღიდან 1313 დღე შოთამ ფრონტზე დაჰყო. იგი ვაჟკაცურად იბრძოდა სტალინგრადში, დონზე, ბელორუსიაში, პოლონეთში, გერმანიაში... ასე იწრთობოდა მეომარი, მოქალაქე, პატრიოტი ჯარისკაცი, კომუნისტი შოთა გამცემლიძე...

გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის შოთა გამცემლიძე დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. 1945 წლის 24 მარტს, სიკვდილის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი და საპატიო წოდება მიენიჭა.

მადლიერი მშობელი ხალხის სახელით მის უკვდავ გმირობას მშვენიერი ლექსი უძღვნა პოეტმა მარიკა ბარათაშვილმა.

„დიდება მშობელს, გაუზრდიხარ მართლა არწივად,
უსწავლებია სამშობლოსთვის თავის განწირვა,
იმ დიად წუთშიც თუ გესმოდა სიტყვა დედისა,
როცა სიკვდილში გზას ეძებდი უკვდავებისა?

შენი სახელი ვაჟკაცობის იქცა სიმბოლოდ,
შენი გმირობა დიადია, გასაკვირია!
შენ ოციოდე გაზაფხული იმარე მხოლოდ,
დანარჩენები სამშობლოსთვის შეგიწირია!"

ამ ორ შთამბეჭდავ პოეტურ სტროფში ავტორმა ზუსტად გვითხრა თავისი სათქმელი, პოეზიის ენით წარმოსახა, წარმოგვიდგინა თანამემამულე ახალგაზრდა კაცის, პატრიოტის დაუვიწყარი გმირული სახე.

გმირი დღესაც ჩვენთანაა, საბრძოლო მწყობრშია, მისი უბერებელი საბრძოლო ტრადიცია აქტიური, შთამაგონებელი და დამაზრდელია. შოთა გამცემლიძე საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის სპეციალური ბრძანებით სამუდამოდ ჩარიცხულია თავისი მშობლიური ნაწილის პირად შემადგენლობაში და ყოველ სალამოს, სიის ამოკითხვისას, მის სახელსა და გვარს სიამაყითა და პატივისცემით ახსენებს მარჯვენაფლანგელი ჯარისკაცი.

... ძვირფასო ნინო ალექსანდრეს ასულო, — წერდნენ გმირის დედას შოთას ყოფილი სამხედრო ნაწილის მებრძოლები, — დღეს ახალგაზრდა გვარდიელები შევიკრიბეთ ნაწილის საბრძოლო დროშასთან, რომლის კალთებქვეშ დიდ სამამულო ომში ვაჟკაცურად იბრძოდა თქვენი შვილი, გვარდიის უმცროსი სერჟანტი, კომუნისტი შოთა გამცემლიძე. ჩვენ ვამაყობთ, რომ სამხედრო სამსახურს ვეწევით აქ, ამ სახელგანთქმულ გვარდიულ სამხედრო ნაწილში..."

მშობელი ხალხი კანონიერად ამაყობს გმირი შვილით, მასწავლებელ ნინო გამცემლიძის ერთადერთი ვაჟიშვილით. და ვფიქრობთ, სავსებით კანონზომიერი იქნება, თუ თბილისის 30-ე საშუალო სკოლას, რომელშიც გმირი სწავლობდა, შოთა გამცემლიძის სახელი მიენიჭება.

პ. შამათავა,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

მეცნიერება

„მზის" ძრავა

მაგნიტური ველის გარემოში ლითონზე სითბოსა და სიცივის შენაცვლებითი ზემოქმედების პრინციპით მოქმედებს ძრავა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში შეიქმნა. ასეთ მოტორს სათბობად გამოადგება პრაქტიკულად ყოველგვარი ენერგიის წყარო. მაგალითად, დაფოკუსებული მზის სხივი, ცხელი წყალი, ავტომობილის ან მარტენის ღუმელის გამონამუშევარი გაზების სითბო. ის კი არა, როგორც გამოგონების ერთ-ერთმა ავტორმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ავთანდილ მანჯავიძემ თქვა, — სითბოც, რომელსაც სანთლის ალი ან ელნათურა ასხივებს.

უჩვეულო ძრავის მოქმედების სქემა ძალზე მარტივია. ორ მუდმივ მაგნიტს შორის ათავსებენ ფერომაგნიტური ფირფიტებით აღჭურვილ დისკოს. როდესაც ეს ფირფიტები დისკოს ერთ ნახევარზე თბება, ვთქვათ, დაფოკუსებული მზის სხივით, ხოლო მეორეზე ცივდება, მაგალითად, გამდინარე წყლით, მოტორის ლილვი ბრუნვას იწყებს.

ასეთ მოტორს სახალხო მეურნეობაში შეიძლება სხვადასხვაგვარი „პროფესიები" გამოუჩნდეს. მისი დახმარებით შეგვეძლება გამოვიყენოთ ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელ ცხელ წარმოებათა სითბო, რომელიც ჯერჯერობით იკარგება, და მარტო ამ გზით დავზოგოთ წელიწადში ასიათასობით ტონა ორგანული სათბობი.

წარმოიდგინეთ ასეთი მოტორი, რომელიც სადმე გვალვიან ველზე, საკოლმეურნეო მინდორსა თუ საკარმიდამო ნაკვეთშია დადგმული, მოწმენდილი ცისკენ მიშვერილია კომპლექსური, ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკული დანადგარის სარკე. მზის სხივი ათბობს მოტორის დისკოს, იგი აბრუნებს არტეზიული ჭაბურღილის ან პატარა ნაკადულის პირას დაყენებული ტუმბოს ლილვს. ასეთი დანადგარის ირგვლივ კი კაცისშვილის ჭაჭანება არ არის. მოჩხრიალებს წყალი და მიედინება კოლმეურნეობის ბაღჩაში, ბოსტანში თუ ბაღში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ასეთ ძრავას შეიძლება ნებისმიერი სიმძლავრე ექნეს.

მკვლევარებს მიაჩნიათ, და ასეთია ინსტიტუტის ხელმძღვანელთა აზრიც, რომ ახალმა ძრავამ დროთა განმავლობაში შეიძლება შეიძინოს არა მარტო მიწიერი, არამედ კოსმოსური „პროფესიებიც". გარკვეულ ლითონზე სითბოსა და სიცივის ზემოქმედების პრინციპით ახლო მომავალში შეიძლება ჩაირთოს და გამოირთოს სხვადასხვა ელექტრონული და მიკროელექტრონული სქემა. ასეთი მოტორის მეშვეობით კოსმოსში შეიძლება ავტომატური რეჟიმით ამუშავდეს სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროსადგურები, და თვით ორბიტაზე კოსმოსური აპარატების მართვაც შეიძლება მივანდოთ ახალი ტიპის ავტომატებს. დედამიწაზე ასეთი სქემები თვალს ადევნებენ რეაქტორების მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში ისინი დროულად ჩართავენ ყველა სათანადო დამცავ სისტემას, მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგოსაც.

კ. ცხომელიძე,
საქინფორმის კორ.

უცხოეთში — საკდესი იუწყება — 4 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირი—აშშ:

მთელი პლანეტის ინტერესებისათვის

გრძელდება საბჭოთა და ამერიკელი საზოგადოებრიობის შეხვედრა

ვაშინგტონი. ვაშინგტონში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა და ამერიკელი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონფერენცია „ახალი აზროვნება ბირთვულ საუკუნეში".

„საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობა არ უნდა შემოიფარგლოს ურთიერთუშიშროების განმტკიცებითა და ჩვენი ხალხების ცხოვრების დონის ამაღლებით, — თქვა კონფერენციაზე გამოსვლისას „პლანეტა დედამიწის" ფონდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა უილიამ პრესკოტმა. — უნდა ვემსახურებოდეთ მთელი პლანეტის ინტერესებს. ვეძებდეთ გზებს, რომ თავი დავაღწიოთ ეკოლოგიურ კრიზისს, სიღატაკეს, რომელშიც მსოფლიოს მოსახლეობის მეხუთედი ცხოვრობს, შევწყვიტოთ გამალებული შეიარაღება, წელიწადში ტრილიონ დოლარს რომ ნთქავს, და ახლანდელი ომები. თუკი ჩვენ ერთმანეთს მეტოქეობა უნდა გავუწიოთ, მოდით შევეჯიბროთ სიღატაკისა და ადამიანთა ტანჯვის ლიკვიდაციაში, გარემოს დაცვასა და აღდგენაში, კოსმოსის კვლევაში".

„ჩვენ ყველანი ვადგავართ გზას, რომელსაც შეიძლება საყოველთაო დაღუპვა მოჰყვეს, — განაცხადა ლოს-ალამოსის ატომური ლაბორატორიის ახალი შეიარაღების შექმნის პროგრამის ყოფილმა დირექტორმა თეოდორ ტეილორმა, — ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა მოვსპოთ მასობრივი განადგურების ყველა იარაღი, ხელი ავიღოთ საქმიანობაზე, რომელიც გამაჩანაგებლად მოქმედებს ბუნებაზე, დავიწყოთ პროგრამების განხორციელება, რომლებიც საყოველთაო ინტერესებს შეესაბამება". ერთ-ერთ ასეთ პროგრამად თ. ტეილორმა დაასახელა ჰაერისა და წყლის შემდგომი გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით კოსმოსური თვალთვალის ერთობლივი საერთაშორისო სისტემის შექმნა. როგორც მან თქვა, მეორე აღმშენებლობითი პროგრამა შეიძლება იყოს მარსზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ფრენა. ასეთი წინადადება წამოაყენეს კოსმოსური კვლევის პროგრამების სამუშაო ჯგუფში საბჭოთა კოსმონავტმა გ. მ. გრეჩკომ და ამერიკელმა სპეციალისტმა ბრაიან ო' ლირიმ. მარსზე ერთობლივი ექსპედიციის განხორციელებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ბ. ო' ლირიმ, საჭიროა მხოლოდ იმ სახსრების მცირე ნაწილი, რასაც ჩვენი ქვეყნები თავდაცვისათვის ხარჯავენ.

სამუშაო ჯგუფების გარდა, კონფერენციაზე მოწყობილია მრგვალი მაგიდები სხვადასხვა პრობლემებზე. „ნორჩი თაობისათვის ზრუნვით ნაკარნახევი ბევრი ინიციატივა წამოაყენეს მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა, რომელსაც მე ვუძღვებოდი — უთხრა საკდესის კორესპონდენტს მწერალმა ა. გ. ალექსინმა, — მიღებულია „მშვიდობა-მსოფლიოს ბავშვებს!" საერთაშორისო ასოციაციის შექმნის პროექტი. მეორე იდეა ითვალისწინებს რეგულარულ შეხვედრებსა და გამოცდილების გაზიარებას ჩვენი ქვეყნების მასწავლებლებსა და პედაგოგიური მეცნიერების მოღვაწეებს შორის".

⊙ რუმინეთი-სსრ კავშირი

თანამშრომლობის 40 წელი

ბუქარესტი. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა აღნიშნავს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ხელშეკრულების დადების 40 წლისთავს.

ეს დოკუმენტი, რომელმაც ორი მოძმე ქვეყნის მრავალმხრივი თანამშრომლობის ფართო პერსპექტივები დასახა, გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომპარტიის, ორი ქვეყნის ხალხების ტრადიციულად მტკიცე ურთიერთობას. ხელშეკრულების დადებიდან 40 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია რუმინეთის ეკონომიკურ ურთიერთობაში, რომელიც ფართოვდება და ღრმავდება სხვადასხვა დარგში. სსრ კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მკვიდრდება თანამშრომლობის ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიც არის წარმოების კოოპერაცია და სპეციალიზაცია.

შრომა და კაპიტალი

◆ საფრანგეთი

მასობრივი მანიფესტაციები

პარიზი. მუშათა მასობრივი მანიფესტაციები გაიმართა ოთხშაბათს საღამოს სამხრეთ საფრანგეთში მარსელსა და ნიცაში. მანიფესტაციების მონაწილეებმა, რომლებიც შეიკრიბნენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით, პროტესტი გამოთქვეს სამუშაოდან მასობრივი დათხოვნების წინააღმდეგ, მოითხოვეს დასაქმების უზრუნველყოფა. მარსელში ქუჩებში გამოვიდა 2 ათასზე მეტი დოკერი, რომლებმაც თავიანთი გამოსვლა დაუკავშირეს ამ ქალაქში საზღვაო საქმეთა სახელმწიფო მდივნის ამბრუაზ გელიკის ჩამოსვლას. ნიცაში გამართულ დემონსტრაციაზე შეიკრიბნენ უკვე ათი დღის მანძილზე გაფიცული „ვერნიეს" ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშები. ეს ქარხანა უკანასკნელი მანქანათსაშენებელი საწარმოა, რომელიც დარჩა ქვეყნის ამ რაიონში. 1980 წლიდან, 135 მილიონი ფრანკი სახელმწიფო დახმარების მიუხედავად, ამ საწარმომ ერთიორად შეამცირა პერსონალი.

◆ იაპონია

მზადდება გამოსვლები

ტოკიო. ტოკიოში გაიხსნა იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს რიგგარეშე ყრილობა. ფორუმის მონაწილეებმა უნდა დაამტკიცონ იაპონელ მშრომელთა ტრადიციული „საგაზაფხულო გამოსვლების" ფარგლებში ქვეყნის ამ ერთ-ერთი უდიდესი პროფკავშირული ცენტრის მოქმედების კურსი. ეს ცენტრი 4 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს.

ამ დოკუმენტის პროექტი ითვალისწინებს გამოსვლებს ხელფასის მომატების, სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირებისა და საწარმოებში 5 დღიანი სამუშაო კვირის რეალური შემოღების, ქალთა დისკრიმინაციის შეწყვეტისა და თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფისათვის. პროფკავშირების გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მტკიცედ იბრძოლოს დაბეგვრის შემცირებისათვის და ახალი არაპირდაპირი გადასახადების შემოღების სამთავრობო გეგმების წინააღმდეგ.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვაშინგტონი.** 219 ხმით 211-ის წინააღმდეგ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უარყო პრეზიდენტ რეიგანის მოთხოვნა ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერების დასახმარებლად დამატებით 36,2 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ. როგორც პრესა აღნიშნავს, კენჭისყრის შედეგი ადმინისტრაციისა და მისი იმ კურსის გამანადგურებელი მარცხია, რომელიც ითვალისწინებს ნიკარაგუელი ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის განგრძობას, ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობიანი მოწესრიგების დასახული პროცესისათვის ძირის გამოთხრას.

◆ **დამასკო.** პალესტინელთა ანტისიონისტური გამოსვლების ახალი ტალღა აზვირთდა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ქალაქ ტულკარმში. დამსჯელებმა ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს. დაიღუპა ერთი პალესტინელი ჭაბუკი. ექვსი კაცი დაშავდა. ხელისუფლებმა ტულკარმში კომენდანტის საათი შემოიღეს.

◆ გდრ

გამოუტანეს განაჩენი

ბერლინი. ადნის სააგენტომ გაავრცელა ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ განაჩენი გამოუტანეს იმ 8 პირს, რომლებიც მონაწილეობდნენ შარშან 17 ოქტომბერს სიონის ეკლესიის მახლობლად ხულიგნობაში. პატიმრობის ხანგრძლივობაა 8 წლიდან და 9 თვიდან წლამდე და 8 თვემდე.

ხანგრძლივი გამოძიების დროს წარმოადგინეს იმის მრავალი მტკიცება, რომ მსჯავრდადებულებმა, რომლებიც შეიკრიბნენ ორგანიზებულ ჯგუფად, სისხლიანი მუშტი-კრივი მოაწყვეს კონცერტის მაყურებლებთან. ამასთან გაიძახოდნენ ფაშისტურ-რასისტულ ლოზუნგებსა და ილანძღებოდნენ. ხულიგნების თავდასხმის დროს მრავალი მოქალაქე დაშავდა. არის იმის საბუთები, რომ ამ ძალმომრეობით მოქმედებას აქეზებდნენ დასავლეთ ბერლინის „თავგადაპარსულთა" მიმდინარეობის მომხრეები და იგი მათი აქტიური მონაწილეობით მომზადდა.

◆ აშშ

შეიქმნა ახალი უწყება

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ შექმნა სპეციალური უწყება, რომელიც პასუხს აგებს სამხედრო მიზნით განხორციელებული ყველა კოსმოსური გამოცდისათვის.

უწინარეს ყოვლისა, ეს ახალი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს ამ სფეროში ამჟამად მოქმედ ყველა სამთავრობო გამოსაცდელ ცენტრს, კონტროლს გაუწევს ექსპერიმენტებს „ვარსკვლავეთის ომების" სისტემის სხვადასხვა კომპონენტის საიმედოობის შესამოწმებლად სამხედრო თანამგზავრების სრულყოფასა და ზესაიდუმლო აეროკოსმოსური თვითმფრინავის გამოცდას. ამ ექსპერიმენტების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია თავს მოიყრის კალიფორნიის ქალაქ სანიველში მდებარე კოსმოსურ გამოსაცდელ ცენტრში შემდგომი დამუშავებისა და სპეციალისტების მიერ შეფასებისათვის.

კინოფესტივალი

„მონანიებით" დაიწყო

პრაღა. საბჭოთა მხატვრული ფილმის „მონანიების" პრემიერით დაიწყო ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში მშრომელთა ზამთრის კინოფესტივალი. ფილმის ჩვენების წინ გამოვიდა მისი შემქმნელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი თენგიზ აბულაძე, რომელსაც მაყურებელი გულთბილად შეხვდა.

მსოფლიო კინემატოგრაფიის მიღწევათა ტრადიციული დათვალიერება რესპუბლიკაში უკვე თითქმის ორმოცი წელიწადია ეწყობა. წლეულს მაყურებლები გაეცნობიან მსოფლიოს ოცამდე ქვეყნის კინემატოგრაფისტთა ნამუშევრებს. მშრომელთა კინოფესტივალი აქ დიდად პოპულარულია: შარშან მას მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

გამოცდილება

საოჯახო კინოკლუბი

ბუდაპეშტი. უნგრეთის ქალაქ სოლნოკში მცხოვრებ ახალგაზრდა მშობლებს ამიერიდან აღარ მოუხდებათ ფიქრი იმაზე, თუ ვის დაუტოვონ მცირეწლოვანი შვილები, რათა კინო ნახონ.

მათ სამსახურში ჩადგა ახალი საოჯახო კინოკლუბი, რომელიც ამ დღეებში ქალაქის ერთ-ერთ კინოთეატრში გაიხსნა. კლუბის ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, სეანსები ერთდროულად მოეწყობა რამდენიმე დარბაზში. ამასთან ყოველ დარბაზში უჩვენებენ გარკვეული ასაკისათვის გათვალისწინებულ კინოსურათებს. ამრიგად, მშობლებიც და ბავშვებიც ნახავენ თავიანთი გემოვნების შესაბამის ფილმებს.

აქ გასართობი მოინახება იმათთვისაც, ვისთვისაც კინოს ნახვა ჯერჯერობით ნაადრევია. კინოთეატრის ფოიეში მოწყობილია სათამაშო ოთახი, სადაც სეანსის დროს გამოცდილი აღმზრდელები პატარებს მხიარული თამაშებით ართობენ.

13 წლის გამომგონებელი

მიოდრაგ მიჩიჩი (სურათზე) ყველაზე ახალგაზრდა გამომგონებელია იუგოსლავიაში. იგი 13 წლისაა. რვაწლიანი სკოლის შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ მან მიიღო თავისი ხუთი გამოგონების ოფიციალური მოწმობა, რომლებიც რეგისტრირებულია იუგოსლავიის საკავშირო საპატენტო სამმართველოს მიერ, იუწყება გაზეთი „იუგოსლავსკიე ნოვოსტი".

მ. მიჩიჩი კორესპონდენტს მოუყვა, რომ მას ყველაზე მეტად აინტერესებს მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა, ქიმია, „მარტივი" და ბირთვული ფიზიკა, ასტრონომია. მას უკვე წაკითხული აქვს ოთხასამდე სამეცნიერო წიგნი, მათ შორის ბევრი რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ტანიუგ-საკდესის ფოტო.

მატიანე

მშვიდობა თუ ომი, შენება თუ ნგრევა, სისხლისღვრა თუ სიმშვიდე — კაცობრიობის წინაშე მისი არსებობის მანძილზე სულ იდგა ამგვარი ალტერნატივა. საზოგადოების მოწინავე ნაწილი ყოველთვის უყოყმანოდ გამოდიოდა მშვიდობის დასაცავად.

„...ჩვენი ვალია შევინარჩუნოთ ჩვენი განუმეორებელი ცივილიზაცია, თვით სიცოცხლე დედამიწაზე, მივაღწიოთ გონიერების გამარჯვებას ბირთვულ უგუნურებაზე, ყველა პირობა შევუქმნათ ადამიანისა და კაცობრიობის თავისუფალ და ყოველმხრივ განვითარებას", — თქვა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამით მთელი საბჭოთა ხალხის ურყევი ნება გამოხატა...

წლები მიდის, დრო იცვლება, უცვლელია მხოლოდ ჯანსაღი აზრი.

ერთი საუკუნის წინათ ოცდახუთი წლის ნიკო ნიკოლაძემ ციურიხის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები". ამდენი ხნის წინანდელი ნააზრევი უაღრესად აქტუალურია დღესაც, როდესაც ასე მწვავედ დგას დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი საკითხი.

„ვძლიოთ ყოველგვარ დაბრკოლებას"

გასული საუკუნის 60-იანი წლები ევროპისათვის მეტად დაძაბული გამოდგა: საფრანგეთ-ავსტრიის და ავსტრია-პრუსიის ომებმა, პრუსია-ავსტრიის ომმა დანიის წინააღმდეგ სავალალო პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები. მოსალოდნელი იყო ახალი ომებიც. ამ დროს „ევროპული საზოგადოება არა მარტო დაინტერესებული იყო ომისა და განიარაღების საკითხებით, არამედ აშკარად გამოხატავდა თავის გულისწყრომას მილიტარიზმისა და ომების პოლიტიკით და ერთსულოვნად მხარს უჭერდა მშვიდობიანობას, მუდმივი არმიის შემცირებას და განიარაღებას". მის შესახებ მსჯელობდნენ ბურჟუებიც, რადიკალ-დემოკრატებიც და სოციალისტებიც. სწორედ ამ პერიოდში მოუწია ცხოვრება ევროპაში მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა მისი ესოდენი დაინტერესება ომისა და განიარაღების პრობლემებით.

„განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები" პირველი დისერტაცია იყო, რომელიც ქართველმა საზღვარგარეთ დაიცვა. პუბლიცისტური წერილების და დისერტაციის გარდა ნ. ნიკოლაძეს ომის, ზავისა და განიარაღების შესახებ გამოქვეყნებული აქვს სტატიები გაზეთებში „დროებასა" და „ობზორში". მისი აზრით „საერთო განიარაღების საკითხი, მართალია, ეკონომიური პოლიტიკის თვალსაზრისით დეტალის საკითხია, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ფართე და რთული საკითხია, იმდენად ფართე და რთული, რომ სულ ადვილად მთელი ტომები დაიწერებოდა იმის გამო".



ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ჩინებულად ერკვეოდა ომისა და ზავის თეორიაში, საფუძვლიანად გრძნობდა იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობდა შუა საუკუნეების ომებსა და მეცხრამეტე საუკუნეში მოსალოდნელ ტოტალურ ომებს შორის; თუ შუა საუკუნეების ომების საბაბი უმთავრესად სამეფო ინტრიგები იყო, და პრიმიტიული იარაღისა და სტრატეგიის წყალობით მათ არცთუ ბევრი სიცოცხლე ეწირებოდა, ახალ ომებს, რომლებიც სახელმწიფოთა შორის სერიოზული ანტაგონიზმის შედეგად ვითარდება და მძლავრ შეიარაღებას იყენებენ, დასასრულიც ბევრად უფრო სავალალო აქვსო. ერთგვარი ისტორიული ექსკურსით მან მკითხველს დაანახვა ყოველივე ეს და ამასთანავე წარმოაჩინა ის სოციალურ-ეკონომიური ძვრები, რომლებიც ყოველგვარი ომების ლოგიკური შედეგიც არის. ეგრეთ წოდებულ ძველსა და ახალ ომებს შორის ზღვრად ნ. ნიკოლაძე საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას მიიჩნევს, რომელმაც მილიტარიზმის განვითარებისათვის არა მარტო სასიცოცხლო ძალები გამოიყენა, არამედ მეცნიერული მიღწევებიც.

მას ომები და განიარაღება აინტერესებს როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. იგი ომს განიხილავს როგორც კაცობრიობის მონაპოვართა გამანადგურებელ ფენომენს და ამდენად აღიარებს განიარაღების პოლიტიკას, რომელსაც მიიჩნევს საზოგადოების ნორმალური განვითარების ყოვლად აუცილებელ პირობად.

იგი მართებულად ხსნის ომების დიფერენცირების არსს. კერძოდ, საფრანგეთ-პრუსიის, პრუსია-ავსტრიის და რუსეთ-იაპონიის ომებს იგი აფასებს ზოგს როგორც დაპყრობითს, უსამართლოს, ზოგსაც როგორც თავდაცვითს, პატრიოტულს, სამართლიანს.

განიარაღების პრობლემა, ასე აქტუალური ევროპის ქვეყნებისათვის, ნ. ნიკოლაძის შენიშვნით სავსებით ლოგიკურია. ათეული წლების მანძილზე მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს რეგულარული ჯარის შენახვა. **„დღეს ყველას ესმის, ამბობს დისერტანტი, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ხარჯებს, რომელნიც ორნაირად არიან უკუსაგდებნი: ერთი რომ უსარგებლონი არიან, და მეორეც ისაა, რომ გადასახადის გადამხდელთა თვალში ეს ხარჯებია მიზეზი ეროვნულისა და კერძო სიმდიდრის ნაკლებობისა და გამოფიტვისა. ხალხი თავის თავს სრულებით სამართლიანად ეკითხებოდა: მხარი დავუჭიროთ ამ დოვლათის გაფლანგვის პოლიტიკას, რომელმაც ვერ შეძლო მოსალოდნელი სარგებლობა მიეტანა ვისთვისმე. თუ უკეთესი იქნება მხარი დავუჭიროთ სულ სხვა პოლიტიკას, სახელდობრ მეზობლებთან მშვიდობის ჩამოგდებას და საშინაო ეკონომიისათვის ზრუნვასო. ეს აზრი სწორია და გარდა ამისა იმდენადვე მართლია, რამდენადაც ჭკვიანურია".**

ნ. ნიკოლაძე თავის ნაშრომებში ცხადყოფს, რომ კაპიტალიზმის ეპოქაში ჯარის უმთავრესი დანიშნულება და მოვალეობაა დაიცვას ბურჟუაზია, მისი პრივილეგიები და უზრუნველყოს საერთოდ ბურჟუაზიული ინსტიტუტის ხელშეუხებლობა. ამან განაპირობა ის, რომ კაპიტალისტები არაფერს იშურებენ ჯარის შენახვისათვის. „რაკი ჯარზე ვლაპარაკობთ — წერს ნ. ნიკოლაძე, — მეტი არ იქნება მოვიგონოთ ჯარის სხვა „დანიშნულებაც". თანამედროვე საზოგადოებას არაფრისგზით არ შეუძლია ამ დანიშნულებას გვერდი აუაროს. თანამედროვე პირობებში ჯარი აუცილებელია არა მარტო გადასახადების ასაკრეფად, არამედ განსამტკიცებლად იმ სოციალურ ურთიერთობათა, რომელნიც წარმოშვა განათლების გზაზე შემდგარმა ცხოვრებამ. **შეძლებული ხალხი, აგრეთვე პატარ-პატარა მესაკუთრენი და კომერსანტები, თანახმანი არიან, დიდის სიამოვნებით გადაიხადონ ხოლმე თავიანთი ხვედრი გადასახადებისა მხოლოდ იმ პირობით, რომ შეიარაღებულმა ჯარმა, რომელსაც სწორეთ ამ გადასახადთა მოგებით ინახავენ ხოლმე, უზრუნველყოს ისინი და აგრეთვე მათი ცოლ-შვილი და ქონება ყოველგვარ ფათერაკისა და განსაცდელისაგან".**


DU DÉSARMEMENT

CONSÉQUENCES ÉCONOMIQUES ET SOCIALES

DISSERTATION DE DOCTORAT
PRÉSENTÉE À L'UNIVERSITÉ DE ZURICH
PAR
N. NIKOLADZÉ

GENÈVE

ნ. ნიკოლაძის აზრით, ნაწილობრივი რეფორმები კაპიტალიზმის პირობებში მშრომელთა მდგომარეობას ვერ გამოასწორებს, რადგან შეიარაღებული ძალების მოვალეობაა დაიცვას არსებული სოციალური წყობა და ბურჟუაზიის ინტერესები, ამასთანავე, მორჩილებაში ჰყავდეს მასები. ნ. ნიკოლაძის აზრით განიარაღება კაპიტალიზმის სისტემაში გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას, ხელფასების შემცირებას, მრეწველობისა და ვაჭრობის დეზორგანიზაციასა და სხვ. ვინაიდან: „მუდმივი ჯარების დათხოვნა და დაშლა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ემსახურებიან ომის საქმეს და სამხედრო ოპერაციებს, სახელმწიფოთა ეკონომიურს ცხოვრებას ძირიან-ფესვიანად შეარყევს, რადგან: 1. მრეწველობას გამოეცლება ბაზარი, სადაც ის თავის ნაწარმს ასაღებდა, 2. ქუჩაში იქნებიან გამოყრილნი მოსამსახურენი და მუშები, რომელნიც ტყვია-წამლის და საომარი საგნების დასამზადებელ დაწესებულებაში იყვნენ მიჩენილნი, რაიცა მრეწველობის ნაწარმის გასასაღებლად ბაზარს უარესად მოსპობს; 3. შეამცირებს ნამდვილ სამრეწველო დაწესებულებათა და მოსამსახურეთა ხელფასს; 4. აიძულებს ვაჭრობის აგენტებს, რომელთა შემოსავალი უეჭველად იკლებს, თავიანთი საკუთარი მოხმარების საგნების ხარჯვას უკლონ". ესე იგი ამ შემთხვევაში განიარაღებას კაპიტალიზმის უეჭველი კრიზისი მოჰყვება.

ნ. ნიკოლაძე არ ყოფილა პირველი, რომელმაც ფართოდ განიხილა განიარაღების საკითხი. ომსა და განიარაღებაზე მსჯელობდნენ თუნდაც XVII საუკუნეში პაციფისტებიც, რომელთა ღრმა რწმენით, სახელმწიფოთა შორის ყოველთვის შეიძლებოდა საერთო ენის გამონახვა. XVIII საუკუნეში განიარაღებასა და მშვიდობაზე წერდნენ ფილოსოფოსები, ეკონომისტები და მწერლები. პაციფიზმი უცხო არ იყო არც XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ ეს ფენომენი ყოველ დროსა და ვითარებაში პრივილეგირებული კლასის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. ქართველი პუბლიცისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა აღიარა კაპიტალისტურ წყობაში განიარაღების შესახებ მსჯელობის აბსურდულობა.

„წინამდებარე ნაწერის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ ცხადყოს ერთი შეხედვით უჩინარი კავშირი, რომელიც განიარაღების საკითხებს აკავშირებს თანამედროვე საზოგადოების რადიკალურ რეორგანიზაციასთან... — წერს ნ. ნიკოლაძე — **საერთო განიარაღებისაგან მოსალოდნელი სიკეთე ესოდენ აღურაცხელია და შეუძლია იმდენი ბედნიერება მიგვანიჭოს, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უნდა გადავწყვიტოთ: ვძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც წინ გადაეღობება რეორგანიზაციის განხორციელების საქმეს. ინდუსტრია, რაკი გათავისუფლდება მილიტარულ რეჟიმისა და ამ რეჟიმისაგან წარმოშობილ სოციალურ უხამსობათაგან, ერთბაშად ფრთას გაშლის და მთელს კაცობრიობას აღავსებს სიუხვითა და ბედნიერებით,...** როგორც ყველამ იცის, მუდმივი ჯარი ნამდვილი უბედურებაა სოციალური ორგანიზმისა იმით, რომ ზოგს აუარებელ ტვირთს აჰკიდებს და ზოგს კიდევ აუარებელ პრივილეგიებს აძლევს. მოწინავე აზრების ხალხმა, ვინც სოციალური პრობლემების გადაწყვეტასა სცდილობს, უნდა გამონახოს და გადაგვიშალოს პრაქტიკული გზა, რომელსაც შეუძლია საზოგადოება უკეთეს დღეში ჩააყენოს. საეკონომო მეცნიერება, — როგორადაც ის დღეს განვითარებულია — სრულებით უძლურია უწინამძღვროს საზოგადოებას და უჩვენოს, თუ რა გზით და საშუალებით დააღწიოს თავი ყველაფრის შთამთქმელს და გამანადგურებელს მუდმივ ჯარს. და, აჰა, ამ ნიადაგზე, მუშაობაა საჭირო. მაგალითად, სამხედრო ბეგრისათვის სხვის დაქირავების აკრძალვა, — ამის განხორციელება მეტად სასწრაფოა და სამართლიანიც იქნება, რადგან ამით მოისპობა სიმდიდრის ერთი საზიზღარი პრივილეგია — ძნელი ასასრულებელია და საჭიროა ამ კითხვის ყოველმხრივ განხილვა. **ამნაირივე იქნება მოქალაქეთა სახალხო მილიციის მოწყობის საქმე, საქმე იმ დაწესებულებისა, რომელიც კერაა ყოვლად ამაღლებულ პატრიოტულ გრძნობათა, რომელთაც უმაღლეს ხარისხამდე აჰყავს სახალხო განიარაღება, საზოგადოებრიობის გრძნობა, დისციპლინა და სოციალური თანასწორობა, და რომელიც სახელმწიფოს სიმდიდრეს განამრავლებს, ისევე როგორც განამტკიცებს თვისის წევრების კუნთებრივს ძალას ე. ი. არის წყარო საზოგადო და კერძო წარმატებისა. ყოველთ უწინარეს უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს დაბრკოლებანი, რაც შეიძლება ყოველმხრივ გავშინჯოთ და გამოვნახოთ მათი ცოტათი თუ ბევრად დასაძლევი წამალი. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ადვილი გახლავთ, რადგან მარტო პრუსიის ყაიდაზე რეორგანიზაცია სამუდამო ჯარისა, შვეიცარიის მილიციაზე რომ არაფერი ვთქვათ, მოითხოვს დაუსრულებელ კვლევა-ძიებას და პრაქტიკულ მოსაზრებას. ამ შემთხვევაში თანამედროვე ეკონომისტების გასაკეთებელი საქმე მით უფრო რთულდება, რომ იძულებულნი იქნებიან გვიჩვენონ, თუ რა საშუალებით შეიძლება ერთსა და იმავე დროს განვითარდეს ჯარის თანდათან რეორგანიზაცია და კერძო ინიციატივა, აგრეთვე გრძნობა საზოგადოებრივობის, — ეს ძალა აქამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული, მაგრამ მთავარი როლი ამან უნდა ითამაშოს იმ გაჭირვებულ მდგომარეობაში, რომელშიც საზოგადოება იმყოფება".**

სხვაგან ის წერს:

„მოწინააღმდეგენი ომისა და მუდმივის ჯარებისა (ამ ორ ცნების განსხვავებას ანგარიში უნდა გავუწიოთ) ამტკიცებენ, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოთა განიარაღებას შედეგად მოჰყვება შემცირება იმ ხარჯებისა, რომელიც მძიმე ტვირთად აწევება ხალხს და წარმოებას. სახელმწიფო რომ განთავისუფლდება სახდელო და სამხედრო ომის სამინისტროების მძიმე ბიუჯეტისაგან, მას შესაძლებლობა ექნება შემოსავლის ზედმეტი მოახმაროს სახალხო განათლებას და ქვეყნის საკეთილდღეო სამუშაოებს, რაც სასწაულებრივ განაძლიერებდა ხალხის მასებს და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობას". „შეუძლებელია სერიოზულად ხელი ვახლოთ სამხედრო ორგანიზაციას, თორემ მაშინათვე შევარყევთ და გადმოვაპირქვავებთ საძირკველს, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი საზოგადოებრივი შენობა: **საზოგადოების კეთილდღეობისათვის სახიფათოა ისე შევუდგეთ განიარაღების საქმეს, თუ წინდაწინვე ნიადაგი არ მოვამზადეთ სოციალურ ურთიერთობათა რადიკალურ და სრულ რეორგანიზაციისათვის. მაშასადამე, ყველამ, ვისაც არაფრის გულისათვის უნდა ხელი ახლოს ჩვენი სოციალური ორგანიზაციის საფუძვლისა და ვინც თავის თავს მომზადებულად არა გრძნობს ასეთის საქმისათვის, სჯობია თავი დაანებოს განიარაღების საკითხს".**

ამით ნ. ნიკოლაძე ერთხელ კიდევ შეახსენებს საზოგადოებრიობას განიარაღების შესაძლებლობათა ჭეშმარიტებას; მაგრამ ამისათვის უპირველეს პირობად სოციალური რეორგანიზაცია მიაჩნია — კაპიტალისტური წყობილების პირობებში შეუძლებელია განიარაღებაზე ლაპარაკი, ხაზს უსვამს ის.

აქ ერთი მომენტია აღსანიშნავი: ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებში ომსა და განიარაღებაზე არის საკამათო, დღევანდელი მკითხველისათვის მიუღებელი კონცეფციებიც. ეს ბუნებრივია. მაგრამ დღეს ამ სადავო დებულებებზე არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, ვინაიდან, ჩემი აზრით, ფართო აუდიტორიისათვის უფრო საინტერესოა დიდი ქართველი მოაზროვნის პოზიციური შეხედულებები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

ნ. ნიკოლაძემ XIX საუკუნეში ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ომების წინააღმდეგ. ამასთან, მწვავედ და გადაუდებლად დააყენა განიარაღების საკითხი. ამავე დროს, იგი დაუპირისპირდა ბურჟუაზიის იმდროინდელ ზოგიერთ იდეოლოგს და თვალნათლივ გამოააშკარავა მათი თეორიების პაციფისტური, აბსტრაქტული ბუნება ომისა და განიარაღების საკითხებში. მან თავის ნაშრომებში კონკრეტული ფაქტების, ციფრობრივი მაჩვენებლების და არგუმენტების საფუძველზე ნათელყო იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოთა მილიტარიზმის უგუნურობის არსი, და განიარაღება მიიჩნია, მართალია, მეტად ძნელ, მაგრამ კაცობრიობის ხსნის ერთგვარ გადაუდებელ პირობად. იგი მიუახლოვდა აღნიშნულ საკითხებზე კ. მარქსის და ფრ. ენგელსის შეხედულებებს.

ზ. გამეზარდაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

კონტაქტები

„ქართული მუსიკა მშვენიერია!"

გავრცელებული აზრი, რომ ინგლისელები თავშეკავებული ხალხია, დაარღვია მარკ ჰილდრიუმ — ინგლისის „იბს ენდ ტილეტის" კომპანიის იმპრესარიომ. ლონდონელი სტუმარი აღტაცებას ვერ მალავდა და დიდხანს უკრავდა ტაშს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე დადგმულ „აბესალომ და ეთერს!".

— ამ ნაწარმოების მუსიკამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მელოდიურობით და მისაწვდომობით. დიდებული დადგმაა. დიდი ოსტატობა გამოავლინეს მომღერლებმა და დირიჟორმა. ქართული მუსიკა მშვენიერია!

— მადლობელი ვარ ცნობილი მომღერლის პაატა ბურჭულაძისა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი თბილისში, გავცნობოდი ესოდენ გულითად ქართველ ხალხს. ჩემი ჩამოსვლის მიზანია გამოვარკვიოთ ინგლისში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლების ორგანიზაციის და „აბესალომ და ეთერის", აგრეთვე მუსორგსკის „ბორის გოდუნოვის" ჩვენების შესაძლებლობა. თუ რუსი კომპოზიტორის შემოქმედება ჩვენში კარგად არის ცნობილი, ქართულ მუსიკას ინგლისელები პირველად შეხვდებიან და, იმედი მაქვს, მათ ეს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰგვრის, — თქვა შემდეგ სტუმარმა.

და კიდევ: ჩემს თანამემამულეებს კვლავ მიეცემათ შესაძლებლობა შეხვდნენ დიდებულ მომღერალს პაატა ბურჭულაძეს. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია, რომ ინგლისელებმა აღმოაჩინეს ეს შესანიშნავი ვოკალისტი მსოფლიოს მსმენელებს. მისი ტრიუმფული გამოსვლები ხომ სწორედ „კოვენტ-გარდენის" სცენიდან დაიწყო 1984 წელს, როცა მან რამფისის პარტია შეასრულა „აიდაში" და განსაცვიფრებელი წარმატება მოიპოვა. მას შემდეგ პაატამ ათასობით ბრიტანელი მსმენელის გული მოიგო, რომლებიც უდიდესი სიამოვნებით ელიან მის სოლო გამოსვლებს, სპექტაკლებს, ლიჩფილდის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობას, ჩვენი ქვეყნის საკონცერტო ცხოვრების ნამდვილ მშვენებას რომ წარმოადგენს.

— იმედი მაქვს, სადღეისოდ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული კულტურული გაცვლის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება, — თქვა მარკ ჰილდრიუმ. — ამას ხელს უწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებიც, შეხვედრისა, რომელმაც მშვიდობისა და თანამშრომლობის ახალი იმედები ჩაგვისახა. ჩვენც კმაყოფილებით ვუჭერთ მხარს ერთობლივი გამოსვლების, გაცვლითი გასტროლების იდეას. შემოქმედებითი კონტაქტი დროის მოთხოვნაა, იგი დიდ როლს ასრულებს ურთიერთგაგების და ნდობის განვითარებასა და განმტკიცებაში, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ხელოვნება მშვიდობისა და თანამშრომლობის იდეების კარგი მეგზურია.

(საქინფორმი).

ლ. ი. ებანოიძე



ქართულმა სამეცნიერო და პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ დანაკლისი განიცადა — 80 წლისა გარდაიცვალა პარტიის ვეტერანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ლევან ივლიანეს ძე ებანოიძე.

ლ. ებანოიძემ 1931 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1934 წელს — ასპირანტურა. 1938 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1961 წელს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება; 1942-1945 წლებში იყო გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის და სკკპ ისტორიის კათედრას ბათუმის პედაგოგიურ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლ. ი. ებანოიძე 70 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია წიგნები: „ნ. ბარათაშვილი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი", „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში", „თერგდალეულები და ეროვნული საკითხი საქართველოში", „ვ. ი. ლენინი და პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში", „სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა" და სხვ.

კომუნისტ მეცნიერს, გამოცდილ პედაგოგს ახასიათებდა პრინციპულობა, საქმის დიდი ერთგულება. იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

ლევან ებანოიძის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარია ყველასთვის, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტი; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

სამი კონტინენტის ეკრანი

მოსკოვში საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა პრესკონფერენციაზე გადაწყდა, რომ აზია-აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების მეათე საერთაშორისო კინოფესტივალი ტაშკენტში გაიმართება.

დათვალიერების ფარგლებში პირველად მოეწყობა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსი. დაწესებულია ფესტივალის ხუთი ძირითადი პრიზი — მთავარი პრიზი; პრიზი კინოხელოვნებაში ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებისათვის; პრიზები მამაკაცისა და ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის და საუკეთესო დებიუტისათვის. დაჯილდოებულთ პრიზებს გადასცემს საერთაშორისო ჟიური, რომლის შემადგენლობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან მსოფლიო კინოს თვალსაჩინო ოსტატები. გაიმართება აგრეთვე უკონკურსო ფილმების ინფორმაციული ჩვენება და უკანასკნელი წლების საუკეთესო საბჭოთა ფილმების რეტროსპექტული ჩვენება.

ტაშკენტის მეათე საერთაშორისო კინოფესტივალი მოეწყობა ტრადიციული დევიზით „ხალხთა მშვიდობის, სოციალური პროგრესისა და თავისუფლებისათვის!" მისი მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს სამი კონტინენტის ქვეყნების კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს, ხელი შეუწყოს მათი კინემატოგრაფიების შემოქმედებითს განვითარებას.

▼ ▼

ყველაფერი რეკლამის შესახებ

რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის, მათ შორის, ვაჭრობის გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე გვაიძულებს ახლებურად გავიაზროთ რეკლამის ამოცანები და როლი. კომერციული და საინფორმაციო საქმიანობის ამ სფეროში ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ საზღვარგარეთის ორგანიზაციებისა და ფირმებისაგან, რომლებსაც მდიდარი გამოცდილება აქვთ.

მისი განზოგადება ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო გამოფენისა „რეკლამა-88", რომელიც პირველად მოაწყო ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივით.

აქ ფართოდ არის წარმოდგენილი სარეკლამო საშუალებები და სარეკლამო პროდუქციის საწარმოო მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, უნგრეთში, იტალიაში, ნორვეგიაში, ჩვენს ქვეყანაში, ფინეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიასა და შვეციაში. გამოფენის თემატიკა ითვალისწინებს ექსპონატების ჩვენებას სამი ძირითადი განყოფილების მიხედვით: სარეკლამო საშუალებები, მათი გამოსაშვები მოწყობილობა და ტექნიკა, მასალები, რომლებიც რეკლამაში გამოიყენება.

სპეციალისტებს შეუძლიათ გაეცნონ ვაჭრობის თანამედროვე საინფორმაციო სამსახურის პრაქტიკულად ყველა სფეროს — ტელე-ფოტორეკლამას, რეკლამას ტრანსპორტზე, კინო და ფოტოსაქმის შესაძლებლობებს ამ დარგში, ვიტრინების დიზაინს. გამოფენაზე მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ბაზაზე მოქმედ საინფორმაციო საშუალებებს.

სარეკლამო საქმიანობა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ვაჭრობაში. გამოფენა, რომელიც მოწოდებულია განავითაროს ეს დარგი, თავის მხრივ, ამოცანად ისახავს, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის საწარმოორგანიზაციათა და საზღვარგარეთელ პარტნიორთა ორმხრივ ხელსაყრელი საქმიანი თანამშრომლობის გაღრმავებას.

▼ ▼

აიგო ახალი ხიდი

ხულოს რაიონის მთის სოფლებში ბევრი თავაწყვეტილი მდინარეა. ლანქერის ან კოკისპირული წვიმების დროს ისე გაშმაგდებიან, ვეებერთელა ლოდებს მოაგორებენ. ერთი ასეთი მდინარე სოფელ მექეიძეებს ორად ყოფს. შარშან გაზაფხულზე ადიდებულმა წყალმა ხიდის ბურჯები მოარყია და ჩაანგრია. უხიდოდ დარჩა სოფელი. საქმეს რაიონის საგზაო-სარემონტო უბანმა მოჰკიდა ხელი. მშენებლებს მექეიძეებლებიც ამოუდგნენ მხარში. ამას წინათ ხიდი საექსპლოატაციოდ გადაეცა.

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტების **ბ. ჩხაიძის, მ. გორგილაძის, ვ. თევდორაძის, საქდესისა და საქინფორმის** მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **ლ. კილაძემ.**



ზამთრის ბალადა. — ფ. კრიმსკის ფოტო.

სპორტი

პრეტენდენტთა ტურნირზე

პირველი წრის ფინიშთან

ლიტინსკაიამ მეექვსე ტურში შავებით იოსელიანთან ესპანურ პარტიაში მიმართა ვარიანტს, რომელსაც ახლა არავინ იყენებს. როცა ეს დებიუტი გათამაშდა, პრესცენტრში მყოფმა ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, დიდოსტატმა ვიტალი ცეშკოვსკიმ თქვა, რომ ლიტინსკაიას მიერ არჩეული გაგრძელება შავებს კარგს არაფერს უქადის. შეიძლება თეორიულად ეს ასეც იყოს, მაგრამ იოსელიანმა თეთრებით უპირატესობა ვერ მიიღო, პირიქით, ლიდერი მალე დაეუფლა ინიციატივას. აი აქ კი იოსელიანმა მართლაც გამოიჩინა თავი, როგორც შესანიშნავმა მებრძოლმა. იგი თავგამოდებით იცავდა თავს და თუმცა ამჯერად უარეს პოზიციაში აღმოჩნდა და არცთუ დიდი დრო ჰქონდა, მოიგერია ყველა მუქარა. ეს პარტია ყაიმით დასრულდა. საინტერესოა, რომ ორი წლის წინათ მალმიოს (შვეცია) პრეტენდენტთა ტურნირში ექვსი ტურის შემდეგ ლიტინსკაიას 5,5 ქულა ჰქონდა, ნახევარი ქულით მეტი, ვიდრე ახლა.

უაღრესად მარცხიანი სტარტის შემდეგ, თანდათან ასწორებს მდგომარეობას ნანა ალექსანდრია. მან შავებით ქეთევან არახამიასთან ნიმცოვიჩის დაცვას მიმართა. შეიქმნა საინტერესო პოზიცია, სადაც თეთრები ცდილობდნენ როგორმე მიეღწიათ ლაზიერის ფრთაზე განლაგებულ ალექსანდრიას მეფემდე. არახამია მეტოქეს ლაზიერით და ეტლით უტევდა, შემდეგ მან ეტლი შეწირა, მაგრამ ამ მომენტში მოსაფიქრებელი დრო თითქმის არ რჩებოდა. ალექსანდრია თეთრების შეტევას მომზადებული შეხვდა, მოიგერია მუქარა და დიდი მატერიალური უპირატესობა დარჩა. ამ მოგების შემდეგ ალექსანდრიას სატურნირო მდგომარეობა აღარ არის ისეთი უიმედო, როგორც ადრე. რა თქმა უნდა, ყველაფერი მაინც შემდგომ თამაშზეა დამოკიდებული.

გაფრინდაშვილმა და ახმილოვსკაიამ ახალინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი გაითამაშეს. თეთრებს ცენტრში გამსვლელი პაიკი ჰყავდათ, რომელიც ახმილოვსკაიამ შეაჩერა. რაც შეეხება ახმილოვსკაიას გამსვლელ პაიკს ლაზიერის ფრთაზე, იგი უკვე გაფრინდაშვილმა უვნებელყო. შეიქმნა მწვავე პოზიცია, სადაც მეტოქეთა შესაძლებლობები დაახლოებით თანაბარი იყო. გაფრინდაშვილს მისი სატურნირო მდგომარეობის გამო ხელს არ აძლევდა ყაიმი, მეტისმეტად რისკიანად ითამაშა და წააგო.

ახლა ექვსი ტურის შემდეგ ლიტინსკაიას (5 ქულა) მთავარი მეტოქე ახმილოვსკაია (4 ქულა) და იოსელიანი არიან (3,5 ქულა).

გ. გამრეკელი.

▼ ▼

იუნიორ მუშკეტერთა პირველობა

ჩვენი მაყურებელი განებივრებული არ არის მოფარიკავეთა დიდი შეჯიბრებებით, თუმცა ჟამდაჟამ თბილისს თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქს უწევს ხოლმე მაღალი რანგის ტურნირების მასპინძლობა... გუშინწინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ახალ სპორტულ კომპლექსში დაიწყო იუნიორ მუშკეტერთა საკავშირო პირველობა, რომელიც მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე ავტორიტეტული ასპარეზობაა, ხუმრობა ხომ არ არის, ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდა 20 წლამდე ასაკის 300-მდე უძლიერესი მოფარიკავე. პირველობაში ჩაებნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები, რომელთა შემადგენლობაში საქართველოს სპორტსმენებიც გამოდიან. ამ შეჯიბრების შედეგებით შეირჩევა ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომელიც მარტის ბოლო რიცხვებში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

საფარიკაო ბილიკებზე პირველად რაპირისტები გამოვიდნენ. გუშინ ამ სახეობაში ფინალური ბრძოლები მოეწყო.

პირველობა 10 თებერვალს დამთავრდება. ფარიკაობის გულშემატკივრებს ვიწვევთ ამ საინტერესო ტურნირზე. შეჯიბრება ყოველდღე 10 და 18 საათზე იწყება.

სურათზე: რაპირისტთა ერთ-ერთი ორთაბრძოლა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

ამინდი

ცვლილებები მოსალოდნელი არ არის

მზემ, რომელმაც ღრუბლებში გამოიხედა, თბილისელები ოპტიმისტურ გუნებაზე დააყენა. მაგრამ სინოპტიკოსები ამინდის არსებითს გაუმჯობესებას არ გვპირდებიან. დღეს და ხვალ ჰაერის ტემპერატურა საქართველოს დედაქალაქში არ შეიცვლება: დღისით იქნება 1-3 გრადუსი სითბო, ღამით — 4-6 გრადუსი ყინვა.

საერთოდ, მეტეოროლოგიური ვითარება რესპუბლიკაში კვლავ წინანდელი რჩება. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ყინვა იმძლავრებს ღამით 5-10 გრადუსამდე, დღისით იქნება 0-5 გრადუსი სითბო. დათბება დასავლეთ საქართველოში: ღამით აქ მოსალოდნელია მინუს 1 — პლუს 4 გრადუსი, დღისით — 6-11 გრადუსი სითბო.

კვლავინდებურად საგანგაშო სიტუაცია იქნება მთებში. ყველაზე ზვავსაშიში რაიონებია კავკასიონის სამხრეთი კალთები, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მთები.

უფრო დათბება შავ ზღვასთან. აფხაზეთსა და აჭარაში დღისით იქნება 8-10 გრადუსამდე სითბო, ღამით — პლუს 1-3 გრადუსი. სამხრეთ ოსეთში ვერცხლის წყლის სვეტი ღამით დაიწევს 8-13 გრადუსამდე, დღისით ტემპერატურა იქნება 0-5 გრადუსი ყინვა.

მძღოლებმა უნდა დაიცვან სიფრთხილე. გზებზე ლიპყინულია. ინტენსიური თოვა მოსალოდნელი არ არის, განახლდა მატარებლების მიმოსვლა, მაგრამ კვლავინდებურად რესპუბლიკის მთის რაიონებში გაძნელებულია ავტობუსების მიმოსვლა.

(საქინფორმი)

ტელევიზია — პარასკევი, 5 თებერვალი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — უსაფრთხო მოძრაობა. 10.05 — ხალხური მელოდიები. 10.20 — მოქმედი პირნი. 11.05 — ახალი ამბები. 11.10 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა-2". V სერია. 12.20 — დოკუმენტური ტელეფილმი „აზოვის ზღვა". 16.40 — თურქმენეთის ტელევიზიის პროგრამა. 17.40 — „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ". გადაცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. 18.40 — მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა. 19.10 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 20.10 — დღეს მსოფლიოში. 20.30 — შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში რსფსრ სახალხო მხატვართან, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან ბ. მ. ნემენსკისთან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა-2". V სერია. 24.00 — „შეხედულება".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VIII კლასი. 10.05 — ინგლისური ენა. 11.05 — გასართობი ფიზიკა. 11.35 და 12.35 — ისტორია. VII კლასი. 12.05 — ინგლისური ენა. 13.05 — დოკუმენტური ფილმი „პროფესია — ოპერატორი". 13.35 — ფილმ-კონცერტი ა. იაშინის ნაწარმოებების მიხედვით. 14.40 — მხატვრული ტელეფილმი „ადამიანები და დელფინები". III ფილმი. მე-2 ნაწილი. 15.45 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მულტფილმი. 19.30 — ტომსკის ნათხილამურევი. 20.00 — ფოკუსშია პრობლემა. დისკუსია ადამიანის უფლებების შესახებ. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — კინოჟურნალი „ციმბირი ეკრანზე". 21.25 — „ღია როიალი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — საავტორო სიმღერის საღამო. 23.55 — ახალი ამბები. 0.05 — ბურთიანი ჰოკეი. სსრ კავშირის ნაკრები — ფინეთის ნაკრები. მე-2 ტაიმი.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თავისი შრომით". 14.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შეხვედრები არქტიკაში". 15.20 — კინოჟურნალი „მინდა, ყველაფერი ვიცოდე". 15.30 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე". 16.20 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ასე ხდება ჩვენთან, ურალსკში" (ფილმი ანტიალკოჰოლურ თემაზე). 17.10 — დოკუმენტური ფილმი „პეპლების გადაფრენა". 17.30 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.55 — მოსწავლეთათვის „თაობათა შეხვედრა". 18.35 — „წიგნის მოყვარულთა კლუბი". 19.15 — განცხადებები. 19.20 — „უკრავს მარინე მდივანი". 20.00 — მოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები". 21.00 — საბალეტო-გასართობი პროგრამა „ფუეტე". 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — პრემიერა ექვსსერიიანი იტალიური სატელევიზიო მხატვრული ფილმისა „რვაფეხა-2". V სერია (მ.).

მეორე პროგრამა. 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.15 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 19.00 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სამეცნიერო-პოპულარული ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „სოფლის ამბავი".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10645 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 ~~6 7 8 9 10~~ 11 12 13 14